წლიური ანგარიში

კანონის უზენაესობა სამართლიანობისთვის

საია 20 წლისაა

გამოცემაზე პასუხისმგებელი: თამარ გვარამაძე, ხათუნა ყვირალაშვილი
დიზაინი: თეონა კერესელიძე

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2014

წლიური ანგარში
2014

NDI
NATIONAL DEMOCRATIC INSTITUTE

Embassy of the Kingdom of the Netherlands

DANISH REFUGEE COUNCIL

SIGRID RAUSING TRUST

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა
და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი

EUROPEAN HUMAN RIGHTS ADVOCACY CENTRE
EHRAC

Brot für die Welt
Bread for the World – Protestant Development Service

NED
National Endowment for Democracy
Supporting freedom around the world

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

SWEDEN

Ministry of Foreign Affairs of the Czech Republic

WESTMINSTER FOUNDATION FOR DEMOCRACY

ADRA

IREX
Make a Better World

EUROPEAN INITIATIVE
LIBERAL ACADEMY TBILISI

OPEN SOCIETY FOUNDATIONS

სარჩევი

წინასიტყვაობა 4

ადამიანის უფლებების დაცვა, დაცვის მექანიზმების განვითარება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დისკრიმინაციის გარეშე 9

იურიდიული კონსულტაციები და სამართლებრივი დოკუმენტები 11
საადვოკატო მომსახურება 15
წარმატებით დასრულებული საქმეები 15
სტრატეგიული სამართალწარმოება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში 20
სტრატეგიული სამართალწარმოება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 23
იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამართლებრივი დახმარება 26
მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის მიერ გაწეული იურიდიული დახმარება 28
სტრატეგიული სამართალწარმოება ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით 29
ადამიანის უფლებების ხელყოფა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან 30

საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება 31

საინფორმაციო სემინარები, შეხვედრები რეგიონებში, ავტო-ტურები 32
იძულებით გადაადგილებულ პირთა ცნობიერების ამაღლება 36
ცნობიერების ამაღლება ქალთა მიმართ დისკრიმინაციის საკითხებზე 36
არალეგალური მიგრაციისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა 37
აქციები და სხვა ღონისძიებები 39
მედია მონიტორინგი 42

ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა 43

ანტიკორუფციული კვლევები 44
სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხელშეწყობა საქართველოში 46
საიას მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესში 51
სამუშაო ჯგუფებში საქმიანობა 54
საიას საქმიანობა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით 55
სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის შექმნა 60

კვალიფიციური, უწყვეტი იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება 61

ფონდის სასწავლო კურსები 62
სემინარები და ტრენინგები 65
იურიდიული განათლების თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა 66
საინფორმაციო ცენტრი და გამოცემები 67
სტაჟირება იურიდიული განათლების ცენტრებში 68

ფინანსური ანგარიში 69

ძვირფასო საიელებო

უპირველეს ყოვლისა, ყველას გილოცავთ საიას დაფუძნების 20 წლის იუბილეს. ვიცი, ყველას გვეამაყება, რომ ვართ იმ ორგანიზაციის წევრები, რომელმაც 20 წლის განმავლობაში, ქვეყანაში ხშირად ქაოტურად განვითარებული არამდგრადი, დრამატული პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების ფონზე, ღირსეულად ჩააბარა რთული და არც თუ მცირე დროის გამოცდა. მადლობა თითოეულ თქვენთაგანს ამ საერთო წარმატებაში შეტანილი წვლილისთვის. განსაკუთრებული მადლობა ჩვენს დამფუძნებელ წევრებს – ადამიანებს, რომლებსაც გამორჩეული როლი მიუძღვით იმაში, რომ პროფესიული ღირსების, სამართლიანობის, ადამიანის უფლებების დაცვის ცარიელ იდეებზე დაშენებული ორგანიზაცია ცნობილ და წარმატებულ ბრენდად ქცეულიყო.

შევეცადეთ ჩვენი ძვირფასი იუბილარისთვის გამორჩეული საჩუქარი გაგვეკეთებინა, აგვესრულებინა დიდი ხნის სურვილი. შევეცადეთ და შევძელით – 2014 წლის 22 სექტემბერს, ორგანიზაციის დაფუძნებიდან ზუსტად 20 წლის თავზე, ზუგდიდში საიას მე-9 ოფისი გაიხსნა. ჩვენს ახალ, ჯერ პატარა, მაგრამ იმედისმომცემ ოფისს საიას სხვა რეგიონულ ოფისებზე არანაკლებ წარმატებულ საქმიანობას ვუსურვებთ!

როგორც თავმჯდომარეს, მეორედ მაქვს პატივი, წარმოგიდგინოთ ასოციაციის წლიური ანგარიში. ვინც საიას საქმიანობას შორიდან ადევნებს თვალს, მისთვის ანგარიშში ასახული აქტივობები ალბათ შთამბეჭდავი იქნება, ხოლო ვინც მუშაობის პროცესში უშუალოდ არის ჩართული, მას ალბათ ტრადიციული უკმარისობის გრძნობა დარჩება, იფიქრებს, რომ კიდევ ბევრი რამის დაწერა შეიძლებოდა.

წლის განმავლობაში ათი ათასობით გაწეული იურიდიული კონსულტაციის პარალელურად, გვქონდა ძალიან საინტერესო წარმატებული საადვოკატო საქმეები, მათ შორის, საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში; შევძელით, პოზიტიური გავლენა მოგვეხდინა არაერთ საკანონმდებლო პროცესზე; როგორც მინიმუმ, პრევენციული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს თავგამოდებას იმ ინფორმაციაზე, რასაც მოქალაქეები პოლიციელთა სავარაუდო ძალადობრივი დანაშაულის შესახებ გვაწოდებდნენ; გვქონდა წარმატებული სადამკვირვებლო მისია არჩევნებზე; არაერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი გამოვკვეთეთ სხვადასხვა სამართალდამცავი თუ ადმინისტრაციულ ორგანოს მუშაობაში (არც პოზიტივი გვავიწყდებოდა). არაერთ სტუდენტს დავეხმარეთ თეორიული

ცოდნის გაღრმავებასა თუ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში; ალბათ ვინმე იფიქრებს, რომ რა ჩვენი საქმე იყო, მაგრამ მე მახარებს, რომ ჩვენმა სარჩელმა შეაჩერა საყდრისის ნგრევა და, ამ თემაზე მუშაობისას ჩვენთვის საინტერესო ბევრი პრობლემაც აღმოვაჩინეთ; მნიშვნელოვანი იყო საიას წვლილი ე.წ. „მოსმენების კანონპროექტის“ მხარდასაჭერად წარმოებულ სამოქალაქო კამპანიაში „ეს შენ გეხება“, სადაც გვერგო პატივი „ძირგამომთხრელთა“ ავანგარდში ვყოფილიყავით... ამ ეპითეტის სანაცვლოდ, უცვლელი ნდობით ვსარგებლობთ უცხოელებში – დასტურად მხოლოდ ის ფაქტიც კმარა, რომ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა ბოლო ანგარიშში GYLA ზუსტად 28-ჯერ არის ნახსენები, როგორც სანდო და ობიექტური ინფორმაციის წყარო.

აქვე უნდა აღინიშნოს USAID-ის დაფინანსებით აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მიერ განხორციელებული კვლევის საინტერესო და სასიამოვნო შედეგები, რომლითაც, ერთი მხრივ, დასტურდება, რომ ბოლო პერიოდში გაზრდილია ნდობა არასამთავრობო სექტორის მიმართ, ხოლო, მეორე მხრივ, საია საქართველოში ყველაზე ცნობილ არასამთავრობო ორგანიზაციად დასახელდა. რეკორდულია მედია გაშუქების მაჩვენებელი... ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც არ გვასვენებს განცდა, რომ კიდევ უფრო მეტის გაკეთება და გაკეთებულის კიდევ უფრო უკეთ წარმოჩენა შეგვიძლია. მეც მჯერა, რომ ასეა და, რომ საია თვითკმაყოფილებას არასოდეს მიეცემა.

დასასრულ, მსურს, გამორჩეული მადლობა ვუთხრა ჩემს თანამშრომლებს. მათი ყოველდღიური შრომის ნაწილი ამ ანგარიშშია ასახული. კარგად გაკეთებული საქმის შემდეგ, არაერთხელ გამჩენია სურვილი, კონკრეტული თანამშრომლისთვის მადლობის წერილი საიას ბლანკიან ფურცელზე დამეწერა. ერთხელ წერაც დავიწყე, მაგრამ... ვიფიქრე, სამართლიანობა მოითხოვდა, რომ, თუ ერთს წერილობით მადლობას ვეტყოდი, ასეთივე წერილები უნდა დამეწერა მეორესთვის, მესამესთვის, მეოთხესთვის... მივხვდი, რომ ამდენი სამადლობელი წერილის შედგენის დროს ვერ გამოვნახავდი. ამიტომ ვსარგებლობ შემთხვევით – ყველას ერთად და თითოეულ თქვენთაგანს ცალ-ცალკე გეუბნებით დიდ, პერსონალურ მადლობას პროფესიონალიზმისთვის, ენთუზიაზმისთვის, შემართებისთვის!

პატივისცემით,

კახა კოჟორიძე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე

ზუგდიდის ოფისი
2014
ქუთაისის ფილიალი
1996
ოზურგეთის ოფისი
2001
აჭარის ფილიალი
1995

www.gyla.ge

საიას ოფისები

თბილისის ოფისი - 1994 წელი
აჭარის ფილიალი - 1995 წელი
რუსთავის ოფისი - 1995 წელი
ქუთაისის ფილიალი -1996 წელი
გორის ოფისი - 2000 წელი
ოზურგეთის ოფისი - 2001 წელი
თელავის ოფისი- 2002 წელი
დუშეთის ოფისი - 2002 წელი
ზუგდიდის ოფისი - 2014 წელი

საია 20 წლისაა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მისიის განაცხადი

2010 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საერთო კრებამ დაამტკიცა 2011-2014 წლების სტრატეგია და მომავალი 4 წლის სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც, ორგანიზაცია განაგრძობს საქმიანობას საწესდებო მიზნებისა და სტრატეგიული ამოცანების შესასრულებლად.

წესდებისა და დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თბილისისა და 8 რეგიონული ოფისის მიერ განხორციელებული საქმიანობის 2014 წლის ანგარიშს (საანგარიშო პერიოდი 2013 წლის 1 ნოემბერი – 2014 წლის 1 ნოემბერი).

ანგარიშის სტრუქტურა, გასული წლების მსგავსად, 4 სტრატეგიულ ამოცანას ეფუძნება:

1. ადამიანის უფლებების დაცვა, დაცვის მექანიზმების განვითარება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დისკრიმინაციის გარეშე
2. საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება
3. ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა
4. კვალიფიციური, უწყვეტი იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება

ჩვენი დევიზი

კანონის უზენაესობა სამართლიანობისათვის

ადამიანის უფლებების დაცვა, დაცვის მექანიზმების ხელშეწყობა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დისკრიმინაციის გარეშე

ადამიანის უფლებების დაცვა, დაცვის მექანიზმების ხელშეწყობა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დისკრიმინაციის გარეშე

ადამიანის უფლებების დაცვა საიას უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ამოცანაა, რომელსაც ორგანიზაცია დაფუძნებიდან დღემდე – 20 წელია, რაც წარმატებით ახორციელებს. საია, თბილისისა და ამჯერად უკვე 8 რეგიონული ოფისის მეშვეობით (მიმდინარე წელს 7 რეგიონულ ოფისს დაემატა მე-8 ოფისი ზუგდიდში), ყოველწლიურად ათასობით ადამიანს უწევს უფასო იურიდიულ დახმარებას მთელი საქართველოს მასშტაბით.

ორგანიზაცია, საკუთარი სტრატეგიისა და პროექტებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ბენეფიციართა ისეთ ჯგუფებზე, როგორებიცაა დევნილები, სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, არასრულწლოვნები, ჟურნალისტები, ხანდაზმულები, პატიმრები, მიგრანტები, ოჯახური ძალადობის მსხვერპლები და ა.შ. საკონსულტაციო თემატიკა არ არის შეზღუდული და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე შეუძლია უფასო იურიდიული კონსულტაციის მიღება.

საია შიდა ეროვნულ დონეზე მოქალაქეებს ეხმარება იურიდიული კონსულტაციების გაცემის, სამართლებრივი დოკუმენტების შედგენისა და საადვოკატო დახმარების გაწევის გზით. ამასთან, ახორციელებს სტრატეგიულ სამართალწარმოებას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.

უფასო იურიდიული დახმარებით საია, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს კონკრეტული პირების დარღვეული უფლებების აღდგენას, ასევე, სტრატეგიული საადვოკატო საქმეების წარმოებით, ხელს უწყობს სწორი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, მეორე მხრივ, ბენეფიციარებს საშუალებას აძლევს, მიიღონ ცოდნა და შეიძინონ ის ძირითადი უნარები, რაც აუცილებელია მომავალში საკუთარი უფლებების დასაცავად.

იურიდიული კონსულტაციები და სამართლებრივი დოკუმენტები

კონსულტაციები საიას ოფისებში

25,524		17,682
11,731	თბილისი	6445
2,116	ქუთაისი	2,345
2,245	აჭარა	2,087
2,446	გორი	1,725
1,260	თელავი	978
2,391	დუშეთი	1,595
1,670	რუსთავი	1,117
1,267	ოზურგეთი	1057
398	ზუგდიდი	333

გაწეული სამართლებრივი კონსულტაციების ტიპები



კონსულტაციების თემატიკა



გაწეული კონსულტაციებიდან ყველაზე ხშირად დასმული კითხვები



მომზადებული სამართლებრივი დოკუმენტები

მიმდინარე წლის განმავლობაში საიას სხვადასხვა ოფისის იურისტების მიერ ბენეფიციარებისთვის შედგენილი 6396 სამართლებრივი დოკუმენტიდან (სარჩელები, საჩივრები და განცხადებები), ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, 2860 დაკმაყოფილდა. *მათ შორის:*

- 391 განცხადება დაკმაყოფილდა უფლების დამადასტურებელი საბუთის კუთვნილების ფაქტის დადგენის თაობაზე, რის შედეგადაც მოქალაქეები საჯარო რეესტრში დაირეგისტრირებენ საკუთრების უფლებას, მიიღებენ მემკვიდრეობას, დაენიშნებათ პენსია.
- 195 ბავშვს დაენიშნა ალიმენტი, 26 ბავშვის სასარგებლოდ მოხდა მამობის აღიარება.
- 52 მოქალაქეს დაუდგინდა ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღების ფაქტი, რის შემდეგაც გადაიფორმებენ მემკვიდრეობას.
- დაკმაყოფილდა 81 განცხადება პირის ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ. მათ დაენიშნათ მეურვეები და შეძლეს პენსიის მიღება.
- სამართლებრივი დახმარება აღმოვუჩინეთ ოჯახური ძალადობის რამდენიმე მსხვერპლს. საიას დახმარებით, ისინი მოთავსდნენ ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში.
- ათეულობით შემთხვევაში, მოქალაქეებს დავეხმარეთ სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაში.

გასვლითი კონსულტაციები

ტრადიციულად, საიას ადვოკატები იურიდიულ კონსულტაციებს, საიას ოფისების გარდა, გასცემდ-ნენ საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ვიზიტის დროს, ე.წ. გასვლითი კონსულტაციების ფორმით.





საიას დუშეთის ოფისის მიერ საანგარიშო პერიოდში 33 გასვლითი შეხვედრა გაიმართა მცხეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის 31 დასახლებულ პუნქტში. აღნიშნულ შეხვედრებზე 1115 სამართლებრივი კონსულტაცია გაეწია 890 მოქალაქეს.

საიას ქუთაისის ფილიალმა 42 გასვლითი შეხვედრა გამართა ხონის, ტყიბულის, ბაღდათის, ვანის, თერჯოლის, ზუგდიდის და მესტიის მუნიციპალიტეტების სხვადასხვა სოფელში. შეხვედრებს დაესწრო 415 მოქალაქე, გაიცა 859 კონსულტაცია.

საიას აჭარის ფილიალმა 11 გასვლითი შეხვედრა გამართა ხელვაჩაურის, ქობულეთის, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტების სხვადასხვა სოფელში. მთლიანობაში 290 ბენეფიციარს გაეწია 662 კონსულტაცია.

საიას თელავის ოფისმა 24 გასვლითი შეხვედრა გამართა ახმეტის, ყვარლის, გურჯაანის, თელავის, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში. სულ გაიცა 350 კონსულტაცია 338 მოქალაქეზე.

საიას ოზურგეთის ოფისის მიერ ჩატარდა 147 გასვლითი შეხვედრა ჩოხატაურის, ოზურგეთის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების სხვადასხვა სოფელში. სულ 1257 კონსულტაცია გაეწია 1084 ბენეფიციარს.

საიას რუსთავის ოფისმა განახორციელა 7 გასვლითი შეხვედრა ბოლნისის, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებში. სულ 140 კონსულტაცია გაეწია 115 ბენეფიციარს.

საიას გორის ოფისის მიერ განხორციელდა 175 გასვლითი შეხვედრა შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის 35 სოფელში. შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 2481-მა მოქალაქემ, გაიცა 2538 კონსულტაცია.

საიას ზუგდიდის ოფისის მიერ განხორციელდა 4 გასვლითი შეხვედრა სამეგრელოს რეგიონში. 73 ბენეფიციარს გაეწია ამდენივე კონსულტაცია.

საკითხები, რომლებითაც სოფლად მაცხოვრებლები ინტერესდებოდნენ, განსხვავებული იყო მუნიციპალიტეტის პრობლემატიკის შესაბამისად, თუმცა, თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტში მოქალაქეებს აინტერესებდათ ადგილობრივი თვითმმართველობების კომპეტენციები, სოციალური დახმარების საკითხები, საკუთრების უფლებების დაცვის მექანიზმები, მემკვიდრეობის მიღების, ასევე, საოჯახო სამართლის თემატიკა. აქტუალური იყო დასაქმებასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხებიც.

საადვოკატო მომსახურება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საიას იურიდიული დახმარების ცენტრები კვლავ ახორციელებდნენ უფასო საადვოკატო მომსახურებას სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის, ორგანიზაციის მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. საადვოკატო მომსახურების ფარგლებში ასევე საინტერესო იყო ისეთი საქმეების წარმოება, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სამართლის განვითარებისა და სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის.

საანგარიშო პერიოდში საიას თბილისისა და რეგიონული ოფისების წარმოებაში იყო **67 სისხლის, 184 ადმინისტრაციული და 94 სამოქალაქო სამართლის საქმე**.

წარმატებით დასრულებული საქმეები

საანგარიშო პერიოდში საიას თბილისისა და რეგიონული ოფისების ადვოკატების აქტიურობის შედეგად, წარმატებით დასრულდა 124 საადვოკატო საქმე. საიას დახმარებით, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული არაერთი პირი აღადგინეს სამსახურში და აუნაზღაურეს სახელფასო განაცდური. არასრულწლოვანთა ინტერესების სასარგებლოდ დასრულდა რამდენიმე ათეული საქმე. სისხლის და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდა არაერთი პირი. წარმატებით დასრულე-

ბულ საადვოკატო საქმეებს შორის იყო ისეთებიც, რომლებიც მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის და ზეგავლენას ახდენს მრავალი ადამიანის სამართლებრივ ინტერესზე.

საილუსტრაციოდ, წარმოგიდგენთ წარმატებით დასრულებული საქმეების რამდენიმე მაგალითს.

სისხლის სამართლის საქმეები

- საიას ქუთაისის ფილიალის დახმარებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ხონის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე გ.გ. უდანაშაულოდ ცნო და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. გ.გ-ს ბრალად ედებოდა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.
- საიას დუშეთის ოფისის ადვოკატის დახმარებით, დ.ო-ს მიმართ სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი. მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, სასამართლომ გაიზიარა საიას ადვოკატის პოზიცია და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბრალდებული დ.ო. მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.
- საიას თბილისის ოფისის ადვოკატის დახმარებით, ახლად გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე, მსჯავრდებულ კ.ც-ს მიმართ გამოტანილი განაჩენი გადაისინჯა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა საიას ადვოკატის შუამდგომლობა, კ.ც-ს მიმართ გამოიყენა სასჯელთა შთანთქმის პრინციპი და მსჯავრდებული კ.ც. დაუყოვნებლივ გაათავისუფლა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან.

ადმინისტრაციული სამართლის საქმეები

- საიას ქუთაისის ფილიალის დახმარებით, ერთ-ერთ ინდივიდუალურ მეწარმეს სრულად ჩამოეწერა საგადასახადო დავალიანება ჯამში 80 245.68 ლარის ოდენობით.
- საიას თბილისის ოფისის ადვოკატი იცავდა რ.ყ-ს ინტერესებს, რომელიც დავობდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე (შშმპ) ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისი რეგულაციების დადგენის თაობაზე. სასამართლო გადაწყვეტილებით, საქართველოს მთავრობას და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალათ ნორმატიული აქტების გამოცემა, რომლითაც განისაზღვრება შშმპ-ზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურების ოდენობა და დარეგულირდება მასთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნულ გადაწყვეტილებას პოზიტიური გავლენა ექნება არა მხოლოდ ამ კონკრეტული ბენეფიციარის, არამედ რამდენიმე ასეული შშმ პირის მიმართაც.

- საიას გორის ოფისი სასამართლოში იცავდა ნ.მ-ს ინტერესებს. ის მუშაობდა ქარელის მუნიციპალიტეტში. რწმუნებულის მხრიდან განხორციელებული ზეწოლის შედეგად, ნ.მ. იძულებული გახდა, დაეწერა პირადი განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. ამ დროისთვის ის იმყოფებოდა ორსულად. საიას გორის ოფისის დახმარებით, ნ.მ-მ სარჩელით მიმართა ხაშურის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა სამსახურიდან მისი გათავისუფლების შესახებ ბრძანების გაუქმება. რაიონულმა და სააპელაციო სასამართლოებმა ნ.მ-ს სარჩელი არ დააკმაყოფილეს. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განსხვავებულად იმსჯელა ამ საქმეზე და ქარელის მუნიციპალიტეტს დაავალა, განმეორებით შეესწავლა საკითხი და, საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ, ახალი გადაწყვეტილება მიეღო მოსარჩელეს შრომითი მოწყობის თაობაზე. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელე მხარის პოზიცია იმის თაობაზე, რომ საჯარო მოხელის პირადი განცხადება სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე, საქმის გარემოებათა გამოკვლევის და ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე, არ შეიძლება გახდეს მისი პირდაპირ გათავისუფლების საფუძველი. აღნიშნული გადაწყვეტილება, საიას მოსაზრებით, არის ძალიან მნიშვნელოვანი, ვინაიდან მსგავსი სახის განმარტება სადავო საკითხზე სასამართლოს აქამდე არ გაუკეთებია. საიას მოსაზრებით ამ განმარტებამ მომავალში უნდა შეცვალოს ანალოგიურ საქმეებზე აქამდე დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა.

- საიას თელავის ოფისი სასამართლოში იცავდა თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ყოფილი საჯარო მოხელის ე.ბ-ს ინტერესებს, რომელიც ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით, რეორგანიზაციის საფუძვლით, უკანონოდ გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. გათავისუფლების მომენტში იგი იყო ორსულად, რაც ადმინისტრაციული ორგანოსათვის ცნობილი გახდა მოგვიანებით, წერილობით წარდგენილი ცნობით. კანონის მოთხოვნის მიუხედავად, გამგეობამ არ გაითვალისწინა ე.ბ-ს ორსულობა და უარი განუცხადა სამსახურში აღდგენაზე. რაიონულმა და სააპელაციო სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს მისი სარჩელი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ე.ბ-ს საჩივარი დაკმაყოფილდა, კერძოდ, მისი გათავისუფლების შესახებ ბრძანება ძალადაკარგულად გამოცხადდა, აღდგა სამსახურში და აუნაზღაურდა იძულებით განაცდური.

- საიას ოზურგეთის ოფისი სასამართლოში იცავდა მოქალაქე დ.თ-ს ინტერესებს, რომელიც თბილისში, საახალწლო ბაზრობაზე, მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში გამოყვანილ კავკასიური ნაძვის ნერგებს ყიდდა. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლის მოთხოვნისთანავე დ.თ-მ მას წარუდგინა შესაბამისი ცნობა ნაძვის ადგილწარმოშობის შესახებ. მიუხედავად ამისა, დ.თ-ს ჩამოართვეს ნაძვის ხის ნერგები და მის მიმართ შეადგინეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი – მცენარის ტრანსპორტირებისთვის სათანადო დოკუმენტის გარეშე. საიას ოზურგეთის ოფისის ადვოკატის დახმარებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე და დ.თ. გათავისუფლდა პასუხისმგებლობისგან.

- საიას თბილისის ოფისის ადვოკატი იცავდა ხუთ პირს, რომლებიც თითქმის 4 თვის განმავლობაში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე იყვნენ დაპატიმრებულნი. სამართლებრივი დავის შედეგად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მათ თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის ფულადი კომპენსაცია (თითოეულს 12 000 ლარი) გადაუხადა.



- საიას აჭარის ფილიალის ადვოკატის დახმარებით, გ.დ. გათავისუფლდა 3 ათასი ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდისაგან. იგი დაჯარიმებული იყო მის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების კანონდარღვევით ჩატარებისთვის. როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საიას პოზიცია აქტის კანონდარღვევით გამოცემასთან დაკავშირებით, შესაბამისად, ბათილად ცნო დაჯარიმების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება.

სამოქალაქო სამართლის საქმეები

- საიას ქუთაისის ფილიალი იცავდა ნ.გ-ს ინტერესებს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ წინააღმდეგ წარმოებულ სამოქალაქო სამართლის საქმეში. 2012 წლის 2 დეკემბერს გაჩენილი ხანძრის შედეგად, მთლიანად დაიწვა საიას ბენეფიციარის საცხოვრებელი სახლი და საყოფაცხოვრებო ნივთები. სასამართლომ გაიზიარა საიას ადვოკატის პოზიცია და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“, როგორც მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს და უხარისხო პროდუქტის მიმწოდებელს, დაავალა ნ.გ-სთვის ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება 58 095, 27 ლარის ოდენობით.

- საიას თბილისის ოფისის ადვოკატი იცავდა თ.კ-ს, რომლის მეუღლე რამდენიმე კერძო კომპანიის მიერ წარმოებული უნებართვო სადემონტაჟო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების დროს მომხდარი სამშენებლო ავარიისას შენობის ნანგრევებში მოყვა და გარდაიცვალა. გარდაცვლილ პირს ჰყავს არასრულწლოვანი შვილი. საიას დახმარებით, საქმე წარმოებულ იქნა სამივე ინსტანციის სასამართლოში. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხეებს დაეკისრათ სარჩოს სახით არასრულწლოვნის სასარგებლოდ ყოველთვიურად 890 ლარის გადახდა.

- საიას გორის ოფისის დახმარებით მ.ბ-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის გამო მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელი დატოვა ზემდგომმა ინსტანციამ, საქართველოს მთავარ პროკურატურას მ.ბ-ს სასარგებლოდ დაეკისრა: მატერიალური ზიანის სახით – 10 000 ლარის, ხოლო მორალური ზიანის სახით – 1000 ლარის ანაზღაურება.

- საიას ოზურგეთის ოფისი სასამართლოში იცავდა ლ.ბ-ს, თ.გ-ს და სხვათა (სულ 146 პირი) ინტერესებს, რომლებიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულნი იყვნენ შპს „ადითის“ ჩოხატაურის და ლანჩხუთის ფილიალებში. სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით მათ სარჩელი აღძრეს დამსაქმებლის წინააღმდეგ. საიას ოზურგეთის ოფისის ადვოკატის დახმარებით, სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა. მოპასუხე შპს „ადითს“ მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების, ასევე, შრომის ანაზღაურების ყოველი დაყოვნებული დღისთვის 0.07%-ის, მთლიანობაში 124 110 ლარის გადახდა.
- საიას თელავის ოფისმა სამართლებრივი დახმარება გაუწია ნ.ი-ს და სხვებს (სულ 17 პირი), რომლებიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულნი იყვნენ შპს „ენერგია პირველში“. სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით, მათ სარჩელით მიმართეს სასამართლოს, რომელმაც სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა. მოპასუხე შპს „ენერგია პირველს“ მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების, სულ 28 738 ლარის გადახდა.
- საიას თბილისის ოფისის დახმარებით, მეწარმეს აუნაზღაურდა უკანონოდ ჩამორთმეული საქონლის ღირებულება – 77 161.20 ლარი, ხოლო კიდევ ერთ საქმეში, პირი გათავისუფლდა 75 577 ლარის ოდენობით არასათანადო მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებისგან.

სტრატეგიული სამართალწარმოება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საიამ საკონსტიტუციო სასამართლოს 5 კონსტიტუციური სარჩელით მიმართა. აღსანიშნავია, რომ წინა პერიოდებთან შედარებით, გაიზარდა წარმატებული საქმეების რაოდენობა. წარმატებით დასრულდა 6 კონსტიტუციური სარჩელი, აქედან 3 დააკმაყოფილა საკონსტიტუციო სასამართლომ, ხოლო 3 საქმეში თავად პარლამენტმა შეცვალა საკანონმდებლო აქტი და შესაბამისობაში მოიყვანა კონსტიტუციასთან იმგვარად, როგორც ამას საია ითხოვდა თავის კონსტიტუციურ სარჩელში.

ახალი საქმეები

1. მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2014 წლის 7 მარტს საიამ მაია რობაქიძის სახელით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა. დავის საგანს წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ-ი) 72-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილი. აღნიშნული ნორმები სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, იმსჯელოს იმ მტკიცებულებათა დაუშვებლობაზე, რომლებიც მოპოვებულია სსსკ-ის საფუძველზე. შესაბამისად, საპროცესო კანონმდებლობით დასაშვები ხდება ისეთი მტკიცებულება, რომელიც მოპოვებულია არა სსსკ-ის, არამედ სხვა კანონის – მაგალითად, „პოლიციის შესახებ“ კანონის დარღვევით ან, თუნდაც, ამავე კანონის საფუძველზე, მაგრამ არ არის უარყოფილი გონივრული ეჭვი „პოლიციის შესახებ“ კანონის დაცვით მოპოვებული მტკიცებულების გამოცვლის, მისთვის ნიშან-თვისებების შეცვლის ან კვალის წაშლის თაობაზე. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას არ აქვს იურიდიული ძალა. საქართველოს კონსტიტუცია ერთმანეთისაგან არ განასხვავებს სსსკ-სა და სხვა კანონებს. ნებისმიერი კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება უნდა იყოს დაუშვებელი. ზუსტად ამ მოთხოვნებთან შესაბამისობაში არ მოდის საიას მიერ გასაჩივრებული ნორმები.

2. ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2013 წლის 12 დეკემბერს საიამ ნუგზარ ჯაყელის სახელით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა. მოსარჩელე ითხოვს იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც ინდივიდს მხოლოდ მეუღლის ან მშობლების შეერთებული – ორწევრიანი გვარის ტარების უფლებას ანიჭებს. მოსარჩელეს სურდა, თავისი ბებიის გვარი მიეერთებინა საკუთარი გვარისათვის. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ნუგზარ ხუნდაძეს უარი უთხრა აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ამის შემდეგ ნუგზარ ხუნდაძემ მიიღო გვარი „ჯაყელი“ – გვარ „ხუნდაძეზე“ უარის თქმის სანაცვლოდ. საია მიიჩნევს, რომ „სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონის ის ნორმა, რომელიც ადამიანს უკრძალავს გვარის გაერთიანებას, არღვევს კონსტიტუციის მე-16 (პიროვნული განვითარების უფლება) მუხლს.

3. სალომე ქინქლაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2014 წლის 28 აპრილს საიამ და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ 6 მოქალაქის სახელით კონსტიტუციური სარჩელით მიმართეს საკონსტიტუციო სასამართლოს. გასაჩივრებულია საარჩევნო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც საინიციატივო ჯგუფს გამგებლობისა და მერობის კანდიდატების წარდგენას უკრძალავს.

2014 წლის 25 ივლისს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ საქმე გადასცა პლენუმს, ვინაიდან მიიჩნია, რომ აღნიშნული საკითხი ხასიათდებოდა რთული სამართლებრივი ბუნებით, ხოლო სასამართლოს პრაქტიკით ერთმნიშვნელოვნად არ არის გადაწყვეტილი, ადამიანის უფლებას – დაიკავოს მერის/გამგებლის არჩევითი თანამდებობა – იცავს კონსტიტუციის 28-ე მუხლი (საარჩევნო ხმის უფლება) თუ 29-ე მუხლი (თანამდებობის დაკავების უფლება).

4. ნათია იმნაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2014 წლის 30 მაისს საიამ სახალხო დამცველის აპარატის ყოფილი თანამშრომლის, ნათია იმნაძის სახელით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა. საიას მიაჩნია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის ის ნორმები, რომლებიც დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებას ითვალისწინებს, არ განსაზღვრავს მოხელის პროცესუალური დაცვის ადეკვატურ საშუალებებს, კერძოდ, ზეპირი სხდომის ჩატარების და იმ მოწმეებთან დაპირისპირების შესაძლებლობას, რომლებიც იძლევიან მოხელის საწინააღმდეგო ჩვენებას. საია მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ნორმები ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტს (დაცვის უფლება) და 29-ე მუხლს (თანამდებობის დაკავების უფლება).

5. შპს „მადაი“ და შპს „პალიასტომი-2004“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2014 წლის 23 სექტემბერს საიამ შავ ზღვაში თევზჭერის უფლების მქონე ორი კორპორაციის სახელით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა. სადავო ნორმატიული აქტები ითვალისწინებს სალიცენზიო მოსაკრებლის და რეგულირების საფასურის გამოანგარიშებას არა ფაქტობრივად მოპოვებული თევზის ოდენობის, არამედ კანონით დადგენილი კვოტის სრული პროცენტული რაოდენობის მიხედვით. შესაძლოა, ლიცენზიის მფლობელმა ვერ მოიპოვოს თევზი კვოტის სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში, საიას მოსაზრებით, სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის წესი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებს (საკუთრების უფლება) და 30-ე მუხლის მე-2 პუნქტს (მეწარმეობის უფლება).

წარმატებით დასრულებული საქმეები

1. *ახალქალაქელი მოსწავლეების საქმე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*

საიას სარჩელის საფუძველზე, 2014 წლის 12 სექტემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო „ზოგადი განათლების შესახებ" კანონის ის ნორმა, რომელიც უცხოელ მოსწავლეს სტანდარტული ვაუჩერის მისაღებად განსაზღვრული ოდენობის თანხის გადახდას აიძულებდა. საიას ძალისხმევის შედეგად, 400-ზე მეტი უცხოელი მოსწავლე მიიღებს უფასო სასკოლო განათლებას.

2. *ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*

საიას სარჩელის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 27 თებერვალს არაკონსტიტუციურად ცნო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ის ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა მხარის გაძევებას და დაჯარიმებას ზეპირი მოსმენის და გასაჩივრების უფლების გარეშე.

3. *ქემოკლიძე და ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*

საიას 2011 და 2012 წლებში შეტანილი სარჩელების საფუძველზე, 2014 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება ქმედუუნარობის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით და არაკონსტიტუციურად ცნო სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოდელი ქმედუნარიანობის შესახებ. არსებული რეგულაციებით, ფსიქიკური აშლილობისა და გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე პირებს, ქმედუუნაროდ ცნობის შემთხვევაში, ერთმეოდათ ყველა უფლების დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობა, რაც მათი უფლებების მძიმე ფორმით ხელყოფას წარმოადგენდა. სასამართლომ საქართველოს პარლამენტს დაავალა, 2015 წლის 1 აპრილამდე განახორციელოს ქმედუნარიანობის ინსტიტუტთან დაკავშირებით სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

4. *სამაუწყებლო კომპანია „მეცხრე ტალღა" პარლამენტის წინააღმდეგ*

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია სხვადასხვა დროს განსხვავებულად განმარტავდა საქართველოს საარჩევნო კოდექსით და მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებას მაუწყებელთა მიერ საარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის უფასოდ განთავსებასთან დაკავშირებით. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ შემოთავაზებული კანონის განმარტება დიდი ხნის განმავლობაში მედიის უკმაყოფილებას იწვევდა. მაუწყებლები მიიჩნევდნენ, რომ კანონი მხოლოდ იმ შემთხვევაში ავალდებულებდა უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსებას, თუ ისინი ეთერში განათავსებდნენ ფასიან პოლიტიკურ რეკლამას. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რეგიონული, მცირეშემოსავლიანი მაუწყებლებისთვის.

2014 წლის თებერვალში საიამ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა. სასამართლომ წარმოებაში მიიღო საიას სარჩელი საქართველოს საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მე-5 პუნქტის და „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის არაკონსტიტუციურობის შესახებ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე (გამოხატვის თავისუფლება) და 21-ე (საკუთრების უფლება) მუხლებთან მიმართებით. აღნიშნული საქმე მნიშვნელოვანია იმ განმარტების გამო, რომელიც სასამართლომ სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ საოქმო განჩინებაში გააკეთა. კერძოდ, როგორც მან აღნიშნა, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის სადავო ნორმა იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ მაუწყებლებს უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსების ვალდებულება მხოლოდ ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსების შემთხვევაში ჰქონდეთ.

შედეგად, საქართველოს პარლამენტმა შეცვალა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის გასაჩივრებული ნორმა, რის შემდეგაც ადგილობრივი მაუწყებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ვალდებული, წინასაარჩევნოდ განათავსოს უფასო პოლიტიკური რეკლამა, თუკი მიიღებს შეკვეთებს ფასიან პოლიტიკურ რეკლამებზე.

5. რევაზ კოპალიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეიტანა ცვლილებები, რომლითაც გათვალისწინებულ იქნა რევაზ კოპალიანის კონსტიტუციურ სარჩელში დაყენებული მოთხოვნების დიდი ნაწილი. კერძოდ, განხორციელებული ცვლილებებით: დაკავებულს დაუყოვნებლივ უნდა განემარტოს მისი დაკავების მიზეზები; საავარაუდო სამართალდამრღვევის პოლიციაში მიყვანის დრო არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს, წვრილმანი ხულიგნობისა და ბოროტი დაუმორჩილებლობის საქმეების სასამართლოში განხილვის ვადა 24 საათიდან 3 დღემდე გაიზარდა. აღნიშნულ თემაზე საია უკვე წლებია მუშაობს. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოში საკითხის განხილვა და საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება იყო უმნიშვნელოვანესი ამ დარღვევებზე სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვისთვის.

6. იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2014 წლის 8 ოქტომბერს გაიმართა იური ვაზაგაშვილის სარჩელის არსებითი განხილვა საკონსტიტუციო სასამართლოში. საქართველოს პარლამენტმა ცნო სარჩელი და წარადგინა მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა, გარდაცვლილი ადამიანის პირადი არაქონებრივი უფლების დაცვის მიზნით, სასამართლოში დავის წარმოების შესაძლებლობას და მოპასუხესთვის გარდაცვლილის შესახებ ცილისმწამებლური განცხადების უარყოფის ვალდებულების დაკისრებას. აღნიშნული ცვლილებები უკვე შესულია ძალაში. საია იური ვაზაგაშვილის სახელით შეტანილი სარჩელით მოითხოვდა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლითაც იკრძალებოდა გარდაცვლილი ადამიანის პირადი არაქონებრივი უფლებების დასაცავად სასამართლო დავის წარმოების შესაძლებლობა.

სტრატეგიული სამართალწარმოება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მიმართვის პროცედურებთან, საჩივრის მომზადებასა და ევროპული კონვენციის ცალკეული მუხლების დარღვევებთან დაკავშირებით, საიამ კონსულტაცია გაუწია 110 ინდივიდს.

მიმდინარე წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საიამ წარადგინა 4 ახალი საჩივარი და ერთი მიმართვა ამავე სასამართლოს დიდი პალატისადმი, საქმის განხილვის მიზნით. ამავე პერიოდში ერთი საქმე დასრულდა წარმატებით.

ახალი საქმეები

1. თედლიაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (№64987/14)

საჩივარი შეეხება 2011 წლის 30 აპრილს სასჯელაღსრულების №6 დაწესებულებაში კახაბერ თედლიაშვილის გარდაცვალების ფაქტს. ამავე დაწესებულების თანამშრომლებმა იგი სამარტოო საკანში ჩამომხრჩვალი იპოვეს.

კ.თედლიაშვილი სისტემატურად განიცდიდა არასათანადო მოპყრობასა და მუქარას სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებით ციხის თანამშრომლების მხრიდან. თავის წერილებში, რომელთა ადრესატები შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები იყვნენ, იგი პირდაპირ ამხელდა №6 დაწესებულების უსაფრთხოების რეჟიმის უფროსს მის მიმართ განხორციელებულ ზეწოლაში.

წარდგენილ საჩივარში, მომჩივნების სახელით, ვდავობთ კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-13 (უფლება სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებაზე) მუხლების დარღვევის გამო. სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებს ჰქონდათ საკმარისი ინფორმაცია კ.თედლიაშვილის წინაშე არსებული რეალური საფრთხეების თაობაზე, თუმცა, მათ არ მიიღეს საჭირო ზომები პატიმრის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

2. მეკარიშვილი და სხვები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ (№31726/14)

2014 წლის 11 აპრილს საიამ სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის პირას მდებარე სოფელ დვანში მცხოვრები, მავთულხლართების გავლების შედეგად დაზარალებული 19 მოქალაქის სახელით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა. 2013 წლის სექტემბერ-ოქტომბერში სოფელ დვანში რუსი და ოსი „მესაზღვრეების“ მიერ ე.წ. საზღვრის მონიშვნის მიზნით მავთულხლართების გავლებამ გამყოფი ხაზი 400-600 მეტრით გადმოწია, რის გამოც დვანის 50-მდე ოჯახის სასოფლო-სამეურნეო მიწები სამხრეთ ოსეთის კონტროლირებად ტერიტორიაზე მოექცა. მავთულხლართების მშენებლობის გაგრძელების შემთხვევაში, დვანში მცხოვრები 3 ოჯახის საცხოვრებელი სახლიც ე.წ. საზღვრის მიღმა აღმოჩნდება.

საია ევროპულ სასამართლოში დავობს რუსეთის წინააღმდეგ, საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლების (ევროპული კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი ნაწილი), საცხოვრებლის პატივისცემის (ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი), მიმოსვლის თავისუფლების (მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი) და სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლების (ევროპული კონვენციის მე-13 მუხლი) დარღვევის გამო.

3. ა(ა)იპ „იდენტობა“ და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (№74959/13)

2014 წლის 27 იანვარს საიამ და ა(ა)იპ „იდენტობამ“ ერთობლივი საჩივრით მიმართეს ევროპულ სასამართლოს. მომჩივნებს წარმოადგენენ ორგანიზაცია „იდენტობა“ და ამავე ორგანიზაციის 21 თანამშრომელი და მხარდამჭერი. საჩივარი შეეხება 2013 წლის 17 მაისს, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს (აიდაჰო) განვითარებულ მოვლენებს. აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით, მომჩივნები აპირებდნენ მშვიდობიანი აქციის გამართვას, რომლის მიზანი იყო საზოგადოების მგრძნობელობის გაზრდა საქართველოში სექსუალური უმცირესობების დისკრიმინაციის მიმართ. 2013 წლის 17 მაისს დაგეგმილი მშვიდობიანი აქცია ვერ შედგა, ვინაიდან სახელმწიფომ ვერ შეძლო აქციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. რადიკალურად განწყობილი კონტრ-დემონსტრანტების ჯგუფის ქმედებები გასცდა „მშვიდობიანი აქციის“ ფარგლებს და მიიღო კანონსაწინააღმდეგო და ძალადობრივი ხასიათი, რამაც საფრთხე შეუქმნა როგორც საზოგადოებრივ წესრიგს, ისე მომჩივანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას.

წარდგენილ საჩივარში საია ასაბუთებს მომჩივანთა მიმართ კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა), მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), მე-10 (გამოხატვის თავისუფლება), მე-11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება), მე-13 (უფლება სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებაზე) მუხლებისა და, აღნიშნულ მუხლებთან მიმართებით, კონვენციის მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლის დარღვევას.

4. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (№73204/13)

აღნიშნული საჩივარი ასევე შეეხება 2013 წლის 17 მაისს, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს (აიდაჰო) განვითარებულ მოვლენებს. აიდაჰოს დღესთან დაკავშირებით დაგეგმილი აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ორგანიზაცია „იდენტობასთან“ ერთად, იყო ააიპ „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (შემდგომში ვიზგი). ევროპულ სასამართლოში მომჩივნების ინტერესებს, საიასთან ერთად, ორგანიზაცია „ვიზგი“ და საიას პარტნიორი ორგანიზაცია – ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრი (EHRAC) იცავს. მომჩივნები არიან ორგანიზაცია „ვიზგი“ და ამავე ორგანიზაციის 15 თანამშრომელი და მხარდამჭერი.

საქმე შეეხება მომჩივნების მიმართ ქ. თბილისში ერთ-ერთ ქუჩაზე განხორციელებულ ძალადობას და აღნიშნულზე სახელმწიფოს არაადეკვატურ და არაეფექტურ რეაგირებას, რამაც ვერ უზრუნველყო მომჩივანთა უსაფრთხოება.

ევროპული სასამართლოს წინაშე ვდავობთ მომჩივანთა მიმართ კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა), მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), მე-10 (გამოხატვის თავისუფლება), მე-11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება), მე-13 (უფლება სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებაზე) და, აღნიშნულ მუხლებთან მიმართებით, კონვენციის მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) და მე-17 (უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა) მუხლების დარღვევის გამო.

წარმატებული საქმეები

1. გამცემლიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (№2228/10)

საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე, 2014 წლის პირველ აპრილს ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება საიას მიერ წარმოებულ საქმეზე – გამცემლიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი №2228/10). საიასთან ერთად, მომჩივნების ინტერესებს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრი (EHRAC) იცავდა.

საქმე შეეხება 2008 წლის 8 მაისს საპატრულო პოლიციის თანამშრომლის მიერ გ.გამცემლიძის მკვლელობის ფაქტს. საქართველოს სახელმწიფომ აღიარა გ.გამცემლიძის სიცოცხლის უფლების დარღვევა, ასევე, დეკლარაციით მთავრობამ იკისრა ხელახალი გამოძიების დაწყების ვალდებულება გ.გამცემლიძის მიმართ პოლიციელის მხრიდან ძალის გადამეტებით გამოყენების ფაქტზე. განჩინების საფუძველზე, მთავრობამ მომჩივნებს 20 000 ევრო გადაუხადა.

2. ძებნიაური საქართველოს წინააღმდეგ (№67813/11)

2014 წლის 9 სექტემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განჩინება გამოიტანა საიას 2011 წლის 7 ოქტომბრის საჩივარზე საქმეში – *ძებნიაური საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი №67813/11)*. ევროპულ სასამართლოში საქართველოს ხელისუფლებამ ცალმხრივი დეკლარაციით აღიარა პაციენტის – გიორგი ძებნიაურის სიცოცხლის უფლების დარღვევა: პაციენტის არასწორმა მკურნალობამ მისი გარდაცვალება გამოიწვია, ხოლო ფაქტის არასათანადო გამოძიების გამო, ექიმთა პასუხისმგებლობა არ დამდგარა.

საქმე ევროპულ სასამართლოში საქართველოსთან მიმართებით პირველი პრეცედენტია, რომელიც ეხება სამოქალაქო ჯანდაცვის სფეროში სიცოცხლის უფლების დარღვევას, აღიარებს სახელმწიფოს მიერ კერძო სამედიცინო დაწესებულების ინსპექტირების ხარვეზებს და პაციენტის გარდაცვალების ფაქტის არასათანადო გამოძიებას. სახელმწიფომ მომჩივანს, გარდაცვლილის დედას, მატერიალური და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, 7000 ევროს გადახდა შესთავაზა, რაზეც მომჩივანმა უარი განაცხადა.

2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებული საქმეები

საია ევროპულ სასამართლოში 2008 წლის აგვისტოს ომით დაზარალებული 400-მდე პირის ინტერესებს იცავს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საიას სტრატეგიული სამართალწარმოების იურისტების მიერ განახლდა ე.წ. ომის საქმეების მომჩივანთა სია. კარდაკარ შეხვედრების გზით საიას იურისტებმა გააახლეს მომჩივანთა საკონტაქტო ინფორმაცია, დაზარალებულებს ჩამოართვეს ჩვენებები მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მოიპოვეს გარდაცვალების ცნობები – მომჩივანთა გარდაცვალების შემთხვევაში. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაიგზავნა განახლებული მონაცემები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, EHRAC-ის უშუალო მონაწილეობით, კვლავ გრძელდებოდა კომუნიკაცია რუსეთის პროკურატურასთან შიდა სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის კუთხით.

იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამართლებრივი დახმარება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, წინა წლების მსგავსად, საიას ოფისები განაგრძობდნენ იძულებით გადაადგილებული პირების სამართლებრივ დახმარებას. გარდა ინდივიდუალური და ჯგუფური სამართლებრივი კონსულტაციებისა, საჭიროების შემთხვევაში, ხდებოდა სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება და საადვოკატო წარმომადგენლობის განხორციელება. საია ასევე მონაწილეობდა სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო სამუშაო ჯგუფის მუშაობაში, სადაც განიხილებოდა იძულებით გადაადგილებულ პირთა სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები. საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა დევნილთა ხელახალი რეგისტრაციის პროცესის მონიტორინგიც.



მობილური ვიზიტები

საანგარიშო პერიოდში დევნილთა სხვადასხვა განსახლების ადგილში სულ განხორციელდა 77 მობილური ვიზიტი. ვიზიტები მოიცავდა, ძირითადად, შიდა ქართლისა და იმერეთის რეგიონებს, ასევე, თბილისს. მობილური ვიზიტებისას გაიცემოდა როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური სამართლებრივი კონსულტაციები, ვრცელდებოდა საინფორმაციო ბროშურები.

საადვოკატო საქმეები

საანგარიშო პერიოდში საადვოკატო მომსახურება დაიწყო 15 ახალ საქმეზე და გაგრძელდა 24 საქმეზე, რომლებიც გასულ პერიოდებში იყო დაწყებული.

განხორციელებული საადვოკატო დახმარების შედეგად:

- ერთი დევნილი ოჯახი დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ფართით ქ. თბილისში.
- ორმა დევნილმა ოჯახმა მიიღო საცხოვრებელი ფართის შესაძენად გათვალისწინებული საკომპენსაციო თანხა (თითოეულმა 10 000 აშშ დოლარის ოდენობით).
- 14 პირს მიენიჭა დევნილის სტატუსი.
- ორმა დევნილმა მოაგვარა საკუთრებასთან დაკავშირებული დავა.
- საცხოვრებელთან დაკავშირებული დავა ორი დევნილი ოჯახის სასარგებლოდ დასრულდა.
- ერთმა დევნილმა მოაგვარა აფხაზეთში მიღებული განათლების დადასტურებასთან დაკავშირებული პრობლემა.

მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის მიერ გაწეული იურიდიული დახმარება

წინა წლების მსგავსად, საიას ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენდა ჟურნალისტების უფლებების დაცვა.

საანგარიშო პერიოდში ქართული მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრმა და, მედიის პროექტის ფარგლებში, საიას რეგიონულმა ოფისებმა ჟურნალისტებს და მედია საშუალებებს გაუწიეს 1 566 იურიდიული კონსულტაცია. ამასთან, ჟურნალისტებისა და მედია საშუალებებისათვის გაწეული კონსულტაციები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ მედია სამართლის საკითხებით. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში გაწეული კონსულტაციები ეხებოდა შემდეგ თემებს:

იურიდიულ კონსულტაციებთან ერთად, მომზადდა 106 სამართლებრივი დოკუმენტი. რაც შეეხება საადვოკატო დახმარებას, საანგარიშო პერიოდში საადვოკატო წარმოება განხორციელდა 29 საქმეზე. დავები ძირითადად შეეხებოდა საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას, ჟურნალისტთა შრომითი უფლებების დარღვევას, მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემაზე უკანონოდ უარის თქმას და ა.შ. აღნიშნულ საქმეთაგან: წარმატებით დასრულდა 13 საქმე, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – 2, არ დაკმაყოფილდა – 3 სარჩელი, დავის საგნის არარსებობის გამო, წარმოება შეწყდა 2 საქმეზე.

საადვოკატო წარმოებიდან განსაკუთრებით საინტერესო იყო რამდენიმე საქმე.

- **საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრობის კანდიდატი აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს წინააღმდეგ**

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის ივლისში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, 2013 წლის ბოლოს დაიწყო საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრების წარდგენისა და არჩევის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავდა დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მაუწყებლობის ჩამოყალიბებას.

2013 წლის ნოემბერში საიამ სასამართლოში გაასაჩივრა აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს (მრჩეველთა საბჭოს) წევრობის კანდიდატების საბჭოსთვის წარდგენის პროცედურის დარღვევა, რამაც, საბოლოოდ, გამოიწვია ის, რომ მრჩეველთა საბჭო მხოლოდ კოალიცია „ქართული ოცნების“ ფრაქციების მიერ წარდგენილი კანდიდატებით დაკომპლექტდა. ბათუმის საქალაქო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა საიას სარჩელი და უკანონოდ ცნო აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს კოალიცია „ქართული ოცნების“ ფრაქციების მიერ კანდიდატების წარდგენის პროცედურა სარჩელის ნაწილში. შედეგად, არჩეულად ჩაითვალა უმაღლესი საბჭოს ოპოზიციური ფრაქციების მიერ წარდგენილი ერთ-ერთი კანდიდატი (მოსარჩელე). გადაწყვეტილება არც ზემდგომი სასამართლოების მიერ შეცვლილა.

სასამართლომ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებით პრაქტიკულად განმარტა მრჩეველთა საბჭოს არჩევის წესი, რამაც წერტილი დაუსვა აღნიშნულ საკითხზე მანამდე არსებულ არაერთგვაროვან შეფასებებს.

- **მაუწყებლები საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ**

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის ივლისში შეტანილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხებოდა მაუწყებლების ფინანსური გამჭვირვალობის საკითხს. მაუწყებლებს კანონით დაევალათ მათი შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ განსაზღვრული ინფორმაციის გასაჯაროება, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი ფორმით. 2014 წლის მარტში კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დაამტკიცა მაუწყებელთა ფინანსური ანგარიშგების ფორმები, რომლებიც, ერთი მხრივ, მაუწყებელთა მხრიდან იმაზე მეტი ფინანსური ინფორმაციის გასაჯაროებას მოითხოვდა, ვიდრე ეს კანონით იყო დადგენილი (მათ შორის იყო მაუწყებელთა კომერციული საიდუმლოების და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია), ხოლო მეორე მხრივ, ანგარიშგების ფორმები, რეალურად, არ იძლეოდა მაუწყებელთა ფინანსური გამჭვირვალობის მიღწევის შესაძლებლობას.

საიამ სასამართლოში გაასაჩივრა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება მაუწყებელთა ფინანსური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ. ამასთანავე, მაუწყებლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ საკითხზე კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში გამართულ შეხვედრებსა და მოლაპარაკებებში. შედეგად, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ცვლილებები შეიტანა ფინანსური ანგარიშგების ფორმებში და აღმოფხვრა სარჩელში მითითებული ხარვეზები, რის შემდეგაც სასამართლოში საქმის წარმოება შეწყდა.

სტრატეგიული სამართალწარმოება ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია კვლავ აქტიურად განაგრძობს სტრატეგიულ სამართალწარმოებას ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. წინა წლის გაუმჯობესებული შედეგებისაგან განსხვავებით, არსებითად გაიზარდა ვადის დარღვევით და არასრულყოფილი სახით საჯარო ინფორმაციის გაცემის ფაქტები.

საჯარო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის გაცემა (2013-2014 წლები):



სასარჩელო განცხადებები ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით:



ადამიანის უფლებების ხელყოფა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება, რომელზეც საია უკვე წლებია მუშაობს, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის მონიტორინგია.

სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტება წლების განმავლობაში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. არ ხდებოდა ასეთი საქმეების ეფექტური გამოძიება და დამნაშავეთათვის ადეკვატური პასუხისმგებლობის დაკისრება, რაც საზოგადოებაში დაუსჯელობის სინდრომის გაღვივებას უწყობდა ხელს და მოქალაქეებში აჩენდა შიშის განცდას, პოლიციელთა მხრიდან შესაძლო ანგარიშსწორების მოლოდინის გამო.

საანგარიშო პერიოდში საიას იურისტები აქტიურად განაგრძობდნენ მუშაობას მსგავს საქმეებზე. ბენეფიციარებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, საიამ არაერთხელ მოითხოვა გამოძიების დაწყება პოლიციელთა მხრიდან ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე.

განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა შემთხვევები, როდესაც მოქალაქეები მიუთითებენ პოლიციელების მხრიდან ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ჩადებაზე, ცემასა და სხვა სახის ძალადობრივ ქმედებებზე. ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფისებს მსგავსი შინაარსის განცხადებებით დაახლოებით 48 მოქალაქემ მიმართა. იურიდიული დახმარების გარდა, საია საჯაროდ მოუწოდებდა შესაბამის ორგანოებს, ჩაეტარებინათ ეფექტური გამოძიება სამართალდამცავი ორგანოებისა თუ სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა მხრიდან ადამიანის უფლებების შელახვის შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებზე.

გარდა იურიდიული დახმარებისა, საია კვლავ განაგრძობს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავებასა და კვლევების წარმოებას. საანგარიშო პერიოდში საიამ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, შეაფასა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთი წლის საქმიანობა და განსაკუთრებული ყურადღება სწორედ მოქალაქეთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე გაამახვილა. ამასთან, გამოიცა კვლევა, რომელიც შეეხება სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებზე ეფექტური გამოძიების წარმართვის მექანიზმების შექმნას.

საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება

საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება უმნიშვნელოვანესია დემოკრატიის მშენებლობის გზაზე მდგომი ქვეყნისათვის. სწორედ ამიტომ, საია, უკვე წლებია, არა მხოლოდ იცავს ადამიანის უფლებებს, არამედ უზრუნველყოფს მოქალაქეების აღჭურვას იმ სათანადო უნარებითა და ინფორმაციით, რაც აუცილებელია მათი უფლებების სრულყოფილად რეალიზებისთვის.

საინფორმაციო სემინარები, შეხვედრები რეგიონებში, ავტო-ტურები

სემინარები და მრგვალი მაგიდები

წინა წლების მსგავსად, ბოლო ერთი წლის განმავლობაში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული კამპანია მოიცავდა სემინარებისა და ტრენინგების ჩატარებას საჯარო მოხელეების, ადვოკატების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის, ასევე, გასვლით შეხვედრებსა და ავტო-ტურებს.

საინფორმაციო შეხვედრებისა და სემინარების სტატისტიკა:



წლის განმავლობაში საიას ოფისების მიერ ორგანიზებულ სემინარებსა და მრგვალ მაგიდებზე განხილული იყო თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება, რომლებიც საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტმა მიიღო, აგრეთვე – რეგიონებში საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხები, მათ შორის:

- ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა.
- ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო სისტემა.
- 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე საიას სადამკვირვებლო მისიის მიერ გამოვლენილი წინასაარჩევნო დარღვევებისა და არჩევნების შედეგების შეფასება.

- მედიის როლი არჩევნებზე დაკვირვების დროს.
- კამპანია „ეს შენ გეხება – ისევ გვისმენენ“ (ფარული მიყურადების თაობაზე საქართველოს პარლამენტში ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტის განხილვა).
- ცვლილებები შრომის კოდექსში; შრომის უსაფრთხოება.
- დევნილთა უფლება სათანადო საცხოვრებელ ფართზე.
- საბიუჯეტო პროცესი ადგილობრივ თვითმმართველობაში და ადგილობრივი ბიუჯეტებით განსაზღვრული სოციალური პროგრამები.
- ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობა.
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გავლენა ქართულ სამართლებრივ სივრცეზე.
- რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება.
- სესხის და იპოთეკის ხელშეკრულება – რისკები და რეგულაციები.
- ბავშვთა უფლებების დაცვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.
- კონფლიქტის ადმინისტრაციული ზოლის გასწვრივ მდებარე სოფლებში ე.წ. ბორდერიზაციის (საზღვრის უკანონო გადმოწევა) შედეგად მოსახლეობისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მექანიზმები.

ტელე-რადიო გადაცემები

სემინარებისა და შეხვედრების გარდა, საიას იურისტები აქტიურად თანამშრომლობდნენ რეგიონულ მაუწყებლებთან და, ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, მონაწილეობდნენ სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე მომზადებულ სატელევიზიო-რადიო-ინტერნეტ გადაცემებში.

ტელეკომპანია „რიონი“ – თემა:

- ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა და 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების კენჭისყრის დღეს საიას სადამკვირვებლო მისიის მიერ გამოვლენილი დარღვევები.

რადიო „რიონი“ – თემები:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები.
- დასაქმებულთა უფლებები.
- შეწყალების ახალი წესი.
- კამპანია „ეს შენ გეხება – ისევ გვისმენენ“.
- ნასამართლობა, შეწყალება, ამნისტია, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება.
- წინასაარჩევნო კამპანიის დარღვევები.
- საიას მიერ უფასო იურიდიული დახმარების გაწევა მოწყვლადი ფენებისთვის.

აჭარის ტელერადიომაუწყებელი – თემები:

- ხულოს მუნიციპალიტეტში ენერგო-ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემები.

- 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს შეფასება და 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის განმეორებითი არჩევნები.
- კამპანია „ეს შენ გეხება – ისევ გვისმენენ“.

ტვ 25 – თემები:

- საარჩევნო სუბიექტების დაფინანსება.
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები.
- ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის სამართლებრივი მექანიზმები.
- აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტება.
- ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა.

ტელეკომპანია „თრიალეთი“ – თემები:

- კონფლიქტის ზონის სოფლებში მცხოვრებთა უსაფრთხოების პრობლემები.
- საჯარო სამსახურში პრემიის გაცემის წესი.
- დევნილთა საცხოვრებელი პირობების შეფასება.
- 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების კენჭისყრის დღის დარღვევები.
- საჯარო მოხელეთა სამსახურიდან გათავისუფლება.
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის პრობლემები.

ტელეკომპანია „გორდა“ – თემები:

- კახეთის რეგიონში წინასაარჩევნო გარემოს შეფასება.
- საჯარო მოსამსახურეთა სამსახურში მიღების, ატესტაციის და სამსახურიდან გათავისუფლების მარეგულირებელი ნორმები.
- კამპანია „ეს შენ გეხება – ისევ გვისმენენ“.
- ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა.
- შრომის კოდექსში შესული ცვლილებები.

ტელეკომპანია „ძველი ქართლი“ – თემები:

- კაზრეთის საბადოზე მუშათა გაფიცვა.
- შრომის უსაფრთხოების პრობლემები.
- საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს საბადოს ისტორიული მემკვიდრეობის სტატუსის განსაზღვრა.
- ოჯახური ძალადობისაგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები.
- კამპანია „ეს შენ გეხება – ისევ გვისმენენ“.

საიას იურისტებმა ასევე მონაწილეობა მიიღეს ტელეკომპანია „გურიის“, ტელეკომპანია „გურჯაანის“, ინტერნეტ-ტელევიზია „გურიის მოამბის“ და რადიო „ძველი ქალაქის“ გადაცემებში.

საინფორმაციო ბროშურები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გასვლითი კონსულტაციებისა და შეხვედრებისას მოსახლეობისათვის დასარიგებლად გამოიცა ბროშურები შემდეგ აქტუალურ თემებზე:

- აღსრულება და მასთან დაკავშირებული პროცედურები.
- რა უფლებებით სარგებლობს დასაქმებული.

ავტო-ტურები და ვიზიტები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში

მიმდინარე საანგარიშო წელს საიას იურისტები, მრგვალი მაგიდებისა და სასემინარო შეხვედრების ორგანიზებასთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდნენ გასვლით შეხვედრებში, რა დროსაც საქართველოს რეგიონებში ხვდებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და აწოდებდნენ მათ ინფორმაციას საკანონმდებლო სიახლეებსა და მათ უფლებებზე, ასევე, უწევდნენ იურიდიულ კონსულტაციებს.

ასეთი შეხვედრები, წლის განმავლობაში, საიას იურისტებმა გამართეს: *მცხეთის, დუშეთის, ხონის, ტყიბულის, ბაღდათის, ვანის, თერჯოლის, ზუგდიდის, მესტიის ხელვაჩაურის, ქობულეთის, ხულოს, შუახევის, ყვარლის, გურჯაანის, თელავის, ლაგოდეხის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ბოლნისის, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებში, ასევე, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის 35 სოფელში.*

რეგიონებში მოგზაურობისას საიას იურისტები მუშაობდნენ არა მხოლოდ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, არამედ ცდილობდნენ ადგილობრივი პრობლემების მოგვარებას, რომელთა იდენტიფიცირებაც ადგილზე ვიზიტის დროს ხდებოდა.

საინტერესოა მსგავსი წარმატებული ადვოკატირების რამდენიმე მაგალითი:

- საიას თელავის ოფისის მიერ გაწეული ადვოკატირების შედეგად, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაფინანსდა ომალო-შენაქოს სამანქანე ხიდის რეაბილიტაცია. ხიდი გარემონტებულია და მოსახლეობას გადაადგილებისას პრობლემა აღარ ექმნება.
- საიას ქუთაისის ფილიალის მიერ გაწეული ადვოკატირების კამპანიის შედეგად, მესტიისა და ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2014 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინა ხარჯები რამდენიმე ტერიტორიული ორგანოს შენობის ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად.
- საიას ოზურგეთის ოფისის მიერ გაწეული ადვოკატირების შედეგად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 3 მაღალმთიანი სოფლის მოსახლეობას (დიდივანი, შუასურები და ზემო სურები) მოემსახურება ექიმი. აღსანიშნავია, რომ ამ სოფლებს ბოლო 20 წლის განმავლობაში ექიმი არ ემსახურებოდა.

იძულებით გადაადგილებულ პირთა ცნობიერების ამაღლება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საია განაგრძობდა აქტივობებს იძულებით გადაადგილებულ პირთა ცნობიერების ასამაღლებლად. დევნილთა კომპაქტურად განსახლების ადგილებში განხორციელდა 77 მობილური ვიზიტი, რა დროსაც დევნილებს საიას იურისტები უწევდნენ იურიდიულ კონსულტაციებს და ურიგებდნენ საინფორმაციო ბროშურებს.

დევნილთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, მომზადდა ბროშურა – „ხშირად დასმული კითხვები დევნილობასთან დაკავშირებულ საკითხებზე“. ბროშურა აერთიანებს ყველა იმ ძირითად კითხვას, რომლითაც დევნილები კონსულტაციების დროს ინტერესდებოდნენ. ბროშურა ვრცელდებოდა როგორც საიას ოფისებში, ასევე, მობილური ვიზიტების დროს.

მრგვალი მაგიდები

დევნილთა პრობლემების დროულად და ეფექტურად გადაწყვეტის მიზნით, წლის განმავლობაში ჩატარდა სამი მრგვალი მაგიდა (თბილისში, გორსა და ქუთაისში) შემდეგ თემებზე: თბილისში – როგორ ხდება დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის კრიტერიუმების პრაქტიკაში გამოყენება; ქუთაისში – დევნილთა უფლებები ახალი კანონის ფონზე; გორში – „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის პროექტი.

ცნობიერების ამაღლება ქალთა მიმართ დისკრიმინაციის საკითხებზე

2013 წლის დეკემბრიდან საია და ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ერთად ახორციელებენ პროექტს „ქალთა გაძლიერება შრომითი დისკრიმინაციის წინააღმდეგ და გენდერული ძალადობის დასამარცხებლად“. პროექტის მიზანია, გამოავლინოს ფარული და ტაბუდადებული საკითხები გენდერული ნიშნით სამუშაო ადგილას დისკრიმინაციისა და შევიწროების თემებზე. პროექტი ქმნის სივრცეს ამ საკითხებზე თავისუფალი დებატებისთვის, რაც წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას იმისათვის, რომ მოხდეს პრობლემის ირგვლივ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა მიკრო და მაკრო დონეებზე.

პროექტის აქტივობები ხორციელდება როგორც თბილისში, ასევე, სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში.

საანგარიშო პერიოდში ახალციხესა და ბათუმში სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის ჩატარდა 5 ტრენინგი დისკრიმინაციის საკითხებზე, რომლებშიც მონაწილეობდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, ექიმები, სოციალური მუშაკები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ჟურნალისტები. ტრენინგებზე განხილული იყო დისკრიმინაციასთან დაკავშირებული ეროვნული და უცხოური გამოცდილება.

არალეგალური მიგრაციისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტთან (CIPDD) ერთად, 2013 წლიდან ახორციელებს პროექტს „საქართველოსა და ევროკავშირს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა“, რომლის მიზანია მიგრანტთა უფასო სამართლებრივი დახმარება, არალეგალური მიგრაციის თაობაზე ცნობიერების ამაღლება, ასევე, მიგრაციის პოლიტიკისა და კანონმდებლობის განვითარების ხელშეწყობა.

ვიზიტები საქართველოს რეგიონებში

საიას იურისტები მოგზაურობდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მდებარე სოფლებში, დაბებსა და ქალაქებში, რათა მოსახლეობისათვის მიეწოდებინათ ინფორმაცია მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით და ადგილზე გაეწიათ სამართლებრივი კონსულტაცია.

*საანგარიშო პერიოდში საია ეწვია **133 სოფელს** და, საინფორმაციო-საკონსულტაციო კამპანიის ფარგლებში, შეხვდა **2603 ადამიანს.***

მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია, ძირითადად, შემდეგ საკითხებზე:

- არალეგალური მიგრაციისა და ტრეფიკინგის საფრთხეები.
- მიგრაციის ლეგალური შესაძლებლობები და ცირკულარული მიგრაცია.
- უვიზო და გამარტივებული სამართლებრივი რეჟიმი.
- დეპორტაცია და შესაბამისი ჯარიმები.
- მიგრანტების დაცვის მექანიზმები.
- შრომითი მიგრაცია.
- ეკომიგრაცია.
- მოქალაქეობისა და ბინადრობის მიღების წესი.
- ორმაგი მოქალაქეობის მიღების წესი.
- მთავრობის 2013 წლის 15 მარტის დადგენილება მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ.
- მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია.
- შეთანხმება „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ“.

საინფორმაციო შეხვედრები

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საიას იურისტების, ევროკავშირის წარმომადგენლებისა და პარტნიორი ორგანიზაცია CIPDD-ის საინფორმაციო შეხვედრები საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ადგილობრივ მოსახლეობასთან. გარდა „საქართველოს და ევროკავშირს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობის“ პროექტის პრეზენტაციისა და შეხვედრების დროს საუბარი შეეხო პროექტის ფარგლებში ღონისძიებების მიმოხილვას, საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის მთავარ ასპექტებს, გამარტივებულ და უვიზო მიმოსვლის საკითხებს, ცირკულარულ მიგრაციას, ასევე, გარკვეული დრო დაეთმო დასმულ შეკითხვებზე პასუხების გაცემას. საანგარიშო პერიოდში საქართველოს 5 მუნიციპალიტეტში 21 ასეთი შეხვედრა გაიმართა, რომლებსაც 346 ადამიანი დაესწრო.

შეხვედრები დიასპორებთან

პროექტის ფარგლებში საია და პარტნიორი ორგანიზაცია ატარებდნენ შეხვედრებს საქართველოდან საზღვარგარეთ წასულ მიგრანტებთან. შეხვედრების მიზანი იყო პროექტის გაცნობა, საიას უფასო იურიდიული დახმარების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, თანამშრომლობის ფორმატების განხილვა და სხვადასხვა სფეროში ლეგალურად დასაქმებულ მიგრანტთაგან პროფესიონალების შერჩევა საქართველოში ტრენერთა ტრენინგებისა და მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრების ჩასატარებლად.

დიასპორებთან შეხვედრები გიმართა შემდეგ ქალაქებში: პარიზი (საფრანგეთი), ამსტერდამი (ჰოლანდია), ჰააგა (ჰოლანდია).

ტრენინგები

საანგარიშო პერიოდში საიამ და პარტნიორმა ორგანიზაცია CIPDD-მ ჩაატარეს ტრენერთა 3 ტრენინგი, რომლებზეც საქართველოდან წასულმა ლეგალურმა მიგრანტებმა საკუთარი პროფესიული გამოცდილება გაუზიარეს და ლეგალური მიგრაციის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდეს საქართველოში შესაბამისი სფეროების პროფესიონალებს.

გარდა ამისა, ხდებოდა საუკეთესოთა ამორჩევა ტრენინგის მონაწილეებს შორის, რომლებიც, თავის მხრივ, ტრენინგებს ატარებდნენ რეგიონებში ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

ტრენინგები ეხებოდა შემდეგ თემებს:

- ახალი ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში – ჰოლანდიური გამოცდილების გაზიარება.
- არქიტექტურა და ქალაქმშენებლობა – მშენებლობის წარმოება და მშენებლობის ორგანიზაცია.
- საქართველოში ტურიზმის განვითარება ტურისტული მომსახურების სრულყოფის საფუძველზე.

ვიდეო რგოლები

პროექტის ფარგლებში, საიამ შექმნა 2 ვიდეო რგოლი, რომლებიც სხვადასხვა სახის ინფორმაციას აწოდებს მოსახლეობას. კერძოდ:

- ერთ-ერთი ვიდეო რგოლის მიზანია მოსახლეობის ინფორმირება საიას უფასო იურიდიული დახმარების შესახებ.
- მეორე ვიდეო რგოლის მიზანია, მოსახლეობას მიაწოდოს ინფორმაცია ტრეფიკინგისა და არალეგალური მიგრაციის საფრთხეებზე, ასევე, მისცეს პრაქტიკული რჩევები, თუ რა უნდა გააკეთონ/არ გააკეთონ იმისათვის, რომ თავი დაიცვან ტრეფიკინგისა და არალეგალური მიგრაციის საფრთხეებისგან.

აღნიშნული ვიდეო რგოლები გაეგზავნა სხვადასხვა სატელევიზიო კომპანიას, სოციალური რეკლამის სახით ეთერში მათი გაშვების მიზნით.

აქციები და სხვა ღონისძიებები

10 დეკემბერი – ადამიანის უფლებათა კვირეული

როგორც წესი, 10 დეკემბერს – ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღეს – საია ღონისძიებათა ტრადიციული სერიით აღნიშნავს.

2013 წლის 10 დეკემბერს საია სპეციალური განცხადების გავრცელებით გამოეხმაურა, რომელშიც შეაფასა ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით სახელმწიფოს მიერ ერთი წლის განმავლობაში მიღწეული შედეგები და იმ გამოწვევებზე მიუთითა, რომლებიც სახელმწიფოს წინაშე დგას ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით.

ადამიანის უფლებათა სერიის ფარგლებში გაიმართა საიას მიერ მომზადებული კვლევების პრეზენტაციები, მათ შორის: „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება"; „გამოხატვის თავისუფლება საქართველოში – მედიის მდგომარეობის ანალიზი".

ადამიანის უფლებათა კვირეულის ბოლოს საიამ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, გაავრცელა განცხადება ციხეებში საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის შექმნის საჭიროებაზე.

6 მარტი – კამპანია „ეს შენ გეხება, ისევ გვისმენენ"

არასამთავრობო ორგანიზაციებმა 2014 წლის 6 მარტს წამოიწყეს კამპანია „ეს შენ გეხება, ისევ გვისმენენ". საია, სხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, აქტიურად ჩაერთო კამპანიაში – საქართველოში სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან კავშირგაბმულობის ოპერატორთა მონაცემებთან შეუზღუდავი წვდომის უფლების პრევენციის მიზნით.

კამპანიამ მიზნად დაისახა ფარული მიყურადებისა და თვალთვალის სფეროში არსებული მდგომარეობის შეცვლა და სისტემური გარანტიების შექმნა იმისთვის, რომ გამოირიცხოს სამართალდამცავი უწყებების თვითნებობა ამ მიმართულებით.

2014 წლის 19 მარტს კამპანიის ფარგლებში საიამ, მთელი საქართველოს მასშტაბით ხელმოწერების შეგროვების მიზნით, მშვიდობიანი აქცია გამართა და საზოგადოებას კამპანიის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

15 აპრილი – აქცია-კონცერტი „ჩვენ ვირჩევთ ევროპას“

სამოქალაქო საზოგადოებამ, მათ შორის საიამ, 2014 წლის 13 აპრილს რიყეზე აქცია-კონცერტი გამართა სახელწოდებით – „ჩვენ ვირჩევთ ევროპას“. აქციის ორგანიზატორებმა, კონცერტში მონაწილე პირებმა და მოსულმა საზოგადოებამ კიდევ ერთხელ მხარი დაუჭირეს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას.

რეგიონული სემინარი საიაში

2014 წლის 3-5 ივნისს საიამ უმასპინძლა 3-დღიან სემინარს, რომლის ორგანიზატორი იყო საიას პარტნიორი ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრი“ (EHRAC). სემინარს, საიას იურისტებთან ერთად, ესწრებოდნენ იურისტები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან: სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი და უკრაინა. სემინარის მიზანი იყო სტრატეგიული სამართალწარმოების ხელშეწყობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. რეგიონისთვის დამახასიათებელი სისტემური პრობლემატიკიდან გამომდინარე, სემინარზე განხილულ საკითხთა შორის განსაკუთრებული ყურ-

ადღება არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მტკიცებულებათა მოპოვებასა და დოკუმენტირებას დაეთმო. სპიკერებს წარმოადგენდნენ დარგის კვალიფიციური ქართველი და უცხოელი ექსპერტები. სემინარის ბოლო დღეს, 5 ივნისს, დამსწრე საზოგადოებას ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი თომას ჰამერბერგი ესაუბრა.

საიას დამკვირვებელთა ლიგა

2014 წლის 13 ივნისს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ „დამკვირვებელთა ლიგის“ პრეზენტაცია გამართა. „დამკვირვებელთა ლიგის“ უმთავრესი მიზანია საიას გამოცდილი დამკვირვებლების აქტიური ჩართვა საარჩევნო და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმირების პროცესში. საია მიიჩნევს, რომ არჩევნებიდან არჩევნებამდე აუცილებელია საზოგადოების აქტიურობა კანონმდებლობის დახვეწის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის, ცნობიერების ამაღლებისა თუ სხვა მიმართულებით. ასოციაცია აპირებს, ორგანიზება გაუწიოს „დამკვირვებელთა ლიგაში“ გაწევრიანებული ახალგაზრდების აქტიურ ჩართულობას არჩევნებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ფარგლებში ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ აქტივობებში.



26 ივნისი – წამების მსხვერპლთა დაცვის საერთაშორისო დღე

2014 წელს 26 ივნისს – წამების მსხვერპლთა დაცვის საერთაშორისო დღეს – საია სპეციალური განცხადების გავრცელებით გამოეხმაურა, რომლითაც სოლიდარობა გამოხატა წამების მსხვერპლთა მიმართ და სახელმწიფოს მოუწოდა, ეფექტური ნაბიჯები გადადგას მსხვერპლთა უფლებების აღდგენის, წამების პრევენციისა და დამნაშავეთა გასამართლების მიზნით.

მედია მონიტორინგი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მედია საშუალებებით ორგანიზაციის საქმიანობის გაშუქების მონიტორინგის მიზნით, უკვე რამდენიმე წელია თანამშრომლობს კვლევით ორგანიზაცია IPM-თან.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, IPM-ის მიერ მოწოდებული სტატისტიკით, საია ნახსენები იყო 8630 სტატიასა თუ ტელე-რადიო სიუჟეტში.

10 ტელევიზიის ეთერში საიას შესახებ სულ გადაიცა 4118 სიუჟეტი/გადაცემა. ტელევიზიებიდან ლიდერობდა ტელეკომპანია „რუსთავი 2“ – 861 გადაცემით. 11 რადიოტალღაზე გავიდა 1142 სიუჟეტი, აქედან 180 სიუჟეტით რადიო „იმედი“ ლიდერობს.

ინტერნეტ-გამოცემების საშუალებით, ერთი წლის განმავლობაში საიას შესახებ 2538 სტატია გამოქვეყნდა. მათგან პირველ ადგილს www.interpressnews.ge იკავებს 437 სტატიით.

რაც შეეხება ბეჭდურ მედიას, წლის განმავლობაში საიას შესახებ 832 სტატია გამოქვეყნდა. მათგან პირველ ადგილს, 95 სტატიით, „მესენჯერი“ იკავებს.



მიმდინარე წელს საიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ონლაინ-პიარის მიმართულებას. კერძოდ, სხვადასხვა ონლაინ-პლატფორმაზე – როგორებიცაა “Facebook”, “Youtube”, “Flickr”, “ISSUU” – მოქალაქეებს შეუძლიათ, მოიპოვონ დეტალური ინფორმაცია საიას საქმიანობის შესახებ სხვადასხვა ფორმატში: განცხადებები; ანონსები; საიას მიერ ჩატარებული აქციების/ღონისძიებების ამსახველი ფოტომასალა; ორგანიზაციის გამოცემები ონლაინ-ჟურნალის სახით.

ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა

ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა

ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. საანგარიშო პერიოდში საიამ, გასული წლების მსგავსად, მნიშვნელოვანი აქტივობები განახორციელა აღნიშნული მიმართულებით, კერძოდ: ანტიკორუფციული თუ სხვა თემატური კვლევები, მართლმსაჯულების პრობლემების ანალიზი – სასამართლო პროცესების მონიტორინგისა და სასამართლოს ადმინისტრირების საკითხების კვლევის გზით, პარლამენტთან მუშაობა კანონმდებლობის დახვეწის მიზნით, წინასაარჩევნო პროცესებისა და არჩევნების დაკვირვება და ა.შ.

ანტიკორუფციული კვლევები

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება

2014 წლის 1-ლ იანვარს ძალაში შევიდა საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საიამ მოამზადა კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ რამდენად მზად იყვნენ ადმინისტრაციული ორგანოები საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულების შესასრულებლად და როგორი იყო საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება ამავე საკითხთან დაკავშირებით. კვლევის შედეგად, გამოვლინდა შემდეგი:

- შესწავლილი 38 საჯარო დაწესებულებიდან მხოლოდ 23-ს გააჩნდა საჯარო ინფორმაციის გვერდი, რომელიც, რიგ შემთხვევაში – არასრულად, ან საერთოდ არ შეიცავდა გამოსაქვეყნებელ ინფორმაციას.
- შესწავლილი 38 საჯარო დაწესებულებიდან მხოლოდ 15-ს ჰქონდა მიღებული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავდა შიდა ხასიათის მარეგულირებელ წესებს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გამოთხოვნასა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.
- კვლევაში განხილული საჯარო დაწესებულებების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები არ იყო ერთგვაროვანი ხასიათის და, ამასთან, ვერ უზრუნველყოფდა საკითხის დეტალურ რეგულირებას, შესაბამისად, შეიცავდა განსხვავებული პრაქტიკის დანერგვის მაღალ ალბათობას.
- საერთაშორისო გამოცდილების შესწავლისას, გამოიკვეთა საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების შერეული მოდელის უპირატესობა, რაც ინფორმაციის არა მხოლოდ საჯარო დაწესებულებების გვერდზე, არამედ ერთიან დამოუკიდებელ პორტალზე განთავსებასაც ითვალისწინებს.

საჯარო ინფორმაციის ანგარიშების წარდგენის ვალდებულება (საქართველოში არსებული პრაქტიკა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ავსტრალიის კავშირის გამოცდილება)



საჯარო ინფორმაციის ყოველწლიური ანგარიშების მომზადება საჯარო დაწესებულებების მიერ კვლავ რჩება ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ სხვა თემებთან ერთად. საანგარიშო პერიოდში საიამ მოამზადა კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ საჯარო ინფორმაციის ანგარიშების წარდგენაზე პასუხისმგებელი საჯარო დაწესებულებები და მის მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოები, წინა წლების მსგავსად, კვლავ ფორმალურად უდგებიან აღნიშნულ საკითხს.

საზღვარგარეთ ქვეყნების გამოცდილების შესწავლით დადგინდა, რომ არსებობს ანგარიშების წარდგენის საერთო და ყოვლისმომცველი გაიდლაინები. ამასთან, აუცილებელია შესაბამისი მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოს არსებობა.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, საიამ შესაბამისი რეკომენდაციები შეიმუშავა.

საყდრისი-ყაჩაღიანი: კულტურული მემკვიდრეობიდან ოქროს თანამედროვე მოპოვებამდე

2014 წელს საყდრისი-ყაჩაღიანის ირგვლივ განვითარებული მოვლენები არაერთხელ გახდა დისკუსიის და განხილვის საგანი. საზოგადოებაში არსებული მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, საიამ მოამზადა კვლევა, რომელიც, ერთი მხრივ, უკავშირდებოდა საყდრისი-ყაჩაღიანის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის, ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს, ხოლო მეორე მხრივ, ეხებოდა სახელმწიფოს მიერ გაცემული (გაგრძელებული) ლიცენზიის საკითხს, რომელიც მნიშვნელოვანი იყო საყდრისი-ყაჩაღიანის ირგვლივ მიმდინარე პროცესებზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად.





კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ტენდენციები:

- საყდრისი-ყაჩაღიანთან, როგორც ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის დროს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხრიდან არსებითად დაირღვა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.
- სამართალდამცავ ორგანოებს არ გაუტარებიათ ქმედითი და ეფექტური ღონისძიებები საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის დაზიანების ფაქტზე გამოძიების დაწყების და კონკრეტული პირების პასუხისგებაში მიცემის მიზნით.
- შპს „RMG Gold"-სათვის ლიცენზიის მოქმედების უფასოდ გაგრძელება და ამ პროცესში სახელმწიფო სტრუქტურების ქმედებები აჩენს ეჭვებს, რომ შესაძლოა ლიცენზიის გაგრძელების დროს კონკრეტული პირების მხრიდან ადგილი ჰქონდა კორუფციულ ან სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებას.

ინფორმაციის თავისუფლება და პერსონალურ მონაცემთა დაცვა



ინფორმაციის თავისუფლებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა კიდევ უფრო აქტუალური გახდა „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ. სწორედ კანონის ამოქმედების შემდეგ საიამ მოამზადა კვლევა, რომელიც ამ მიმართულებით საერთო სასამართლოების პრაქტიკას ეხებოდა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი

2013 წელს საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პირველი ინსპექტორი დაინიშნა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობის პრაქტიკაში იმპლემენტაციისა და შესაძლო ხარვეზების გამოვლენის მიზნით, საიამ შეისწავლა ინსპექტორის საქმიანობის პირველი წელი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ:

- საქართველოს კანონმდებლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით არ არის ყოვლისმომცველი, სრულფასოვანი და, რიგ შემთხვევაში, საჭიროებს დამატებით კონკრეტიზაციას, იქნება ეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის დანიშვნის, გათავისუფლების, საქმიანობის მარეგულირებელი წესებისა თუ ორგანიზაციულ-სამართლებრივი კუთხით.
- საერთაშორისო გამოცდილებისგან განსხვავებით, საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს სხვადასხვა სექტორზე (მაგალითად – შრომა, ჯანდაცვა) ორიენტირებული წესები და ინსტრუქციები.
- საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საჯარო ინტერესის ტესტს, შესაბამისად, მაღალი საჯარო ინტერესის არსებობის შემთხვევაში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს კონკრეტული პირის პერსონალური მონაცემების გასაჯაროებაზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების შეპირისპირების ფონზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხელშეწყობა საქართველოში

სასამართლო პროცესების მონიტორინგი



„მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების“ პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია USAID-ის მიერ და ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მხარდაჭერით, საია 2011 წლიდან მონიტორინგს უწევს სასამართლო პროცესებს სამართლიანი სასამართლოს დამკვიდრების ხელშეწყობის, მართლმსაჯულების განხორციელებისას ეროვნული და საერთაშორისო სამართლის, ასევე, ადამიანის უფლებათა და სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოში სისხლის სამართლის სხდომების მონიტორინგი დაიწყო 2011 წლის ოქტომბერში, ქუთაისის ქალაქო სასამართლოში – 2012 წლის დეკემბერში, ხოლო ბათუმის საქალაქო სასამართლოში – 2014 წლის მარტში.

სასამართლო მონიტორინგის ანგარიშებში ასახული მონაცემები, საიას მოსაზრებით, წარმოაჩენს ობიექტურ, ფაქტებზე დაფუძნებულ სურათს იმის თაობაზე, თუ როგორ ხორციელდება სისხლის სამართლის მართლმსაჯულება საქართველოში. ამ ეტაპისათვის საიამ დაასრულა მუშაობა რიგით მე-6 ანგარიშზე.

2013 წლის ივლისიდან 2014 წლის აგვისტოს ჩათვლით, საია დააკვირდა 1705 სასამართლო სხდომას თბილისის, ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში, აგრეთვე, ბათუმის საქალაქო სასამართლოში.

2013 წლის მეორე ნახევარში და მიმდინარე წელსაც გაგრძელდა 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდგომ დაფიქსირებული სასამართლოს გაუმჯობესებული მიდგომები მთელ რიგ პროცესუალურ საკითხებთან მიმართებით.

თუმცა, პირველი წარდგენის სხდომებზე კვლავ შეიცვალა ბრალდებულებისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებების თანაფარდობა.



იმავდროულად, ბოლო ორ საანგარიშო პერიოდში (2013 წლის ივლისი – 2014 წლის აგვისტო), გასულ პერიოდებთან შედარებით, იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომელთათვისაც პროკურატურამ პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, შეფარდება მოითხოვა, გაიზარდა და საბოლოოდ 60% შეადგინა. იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომლებსაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ, 2013 წლის მეორე ნახევარში გაიზარდა 30%-დან 42%-მდე, ხოლო 2014 წლისათვის შემცირდა 37%-მდე. იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომლებსაც გირაო შეეფარდათ, წინა პერიოდებთან შედარებით ნელ-ნელა შემცირდა და 2014 წლისათვის 52% შეადგინა.

მონიტორინგის მთელი პერიოდის მანძილზე (2011 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის აგვისტოს ჩათვლით) პირველად დაფიქსირდა ორი შემთხვევა, როდესაც სასამართლომ წინა სასამართლო განხილვის ეტაპზე შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა.

მონიტორინგის განხორციელების პირველ 5 ეტაპზე (2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის დეკემბრამდე) მოსამართლეები იყვნენ პასიურნი საპროცესო შეთანხმების განხილვებისას და ავტომატურად ამტკიცებდნენ ბრალდების მხარის შუამდგომლობას საპროცესო შეთანხმების თაობაზე. თუმცა, 2014 წლის 8 თვის მონაცემებით, მოსამართლეები გააქტიურდნენ და სვამდნენ უფრო მეტ კითხვას საპროცესო შეთანხმების სამართლიანობისა და კანონიერების დასადგენად. საპროცესო შეთანხმებათა რიცხვი, სადაც ბრალდებულს შეეფარდა ჯარიმა, 2012 წლიდან დღემდე ნელ-ნელა შემცირდა და საბოლოოდ 44% შეადგინა. ამასთან, 2013 წლის მეორე ნახევრამდე იკლებდა ჯარიმის საშუალო ოდენობაც, თუმცა, 2014 წლისათვის ეს მაჩვენებელი კვლავ გაიზარდა 1850 ლარიდან 4873 ლარამდე.



დაკვირვების შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ დაცვა, როგორც წესი, პასიურობით გამოირჩეოდა თითქმის ყველა საქმეში, გარდა გახმაურებული საქმეებისა, სადაც ის კიდევ უფრო აქტიური იყო, ვიდრე ბრალდების მხარე.

თავდაპირველი მონიტორინგებისგან განსხვავებით, ბოლო პერიოდში (იანვარი-აგვისტო, 2014) მოსამართლეები გაცილებით უკეთესად განუმარტავდნენ ბრალდებულებს მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის დაუშვებლობასა და საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ უფლებებს.

მონიტორინგის ანგარიშები დიდ დაინტერესებას იწვევს საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. ისინი მითითებულია აშშ-ის სახელმწიფოს დეპარტამენტის წლიურ ანგარიშებშიც, როგორც საქართველოში სისხლის სამართლის საქმეთა მართლმსაჯულების განხორციელების თაობაზე ინფორმაციის წყარო.

ამ ეტაპზე საია განაგრძობს მონიტორინგს თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოებში და თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგი

საია და საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო 2012 წლის მარტიდან ახორციელებენ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგს. 2013 წლის დასაწყისში აღნიშნულმა ორგანიზაციებმა გამოსცეს საბჭოს საქმიანობის ამსახველი №1 ერთობლივი ანგარიში, რომელშიც აისახა 2012 წლის მარტი-დეკემბრის თვეებში საბჭოს საქმიანობის დაკვირვებისა და შესწავლის შედეგები.

2013 წელს საიამ და საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ კვლავ განახორციელეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგი, რომლის შედეგები აისახა 2014 წლის თებერვალში გამოქვეყნებულ ანგარიშში. საია, პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად, კვლავ აგრძელებს საბჭოს საქმიანობის მონიტორინგს და რიგით მესამე ანგარიშზე მუშაობას 2014 წლის დეკემბერში დაასრულებს.

წინა პერიოდის მსგავსად, მონიტორინგი მიზნად ისახავს, სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმების ფონზე, სასამართლო ხელისუფლებაში ადმინისტრირების მთავარი კონსტიტუციური ორგანოს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შეფასებას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის საქმიანობის მონიტორინგმა გამოავლინა შემდეგი მნიშვნელოვანი შედეგები: წინა წლებთან შედარებით, საბჭოს საქმიანობის საჯაროობის ხარისხი გაზრდილია, თუმცა, ცალკეული მიმართულებით კვლავ რჩება მნიშვნელოვანი ხარვეზები; კვლავ პრობლემური და გაუმართავი იყო მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურები. არსებული ბუნდოვანი, ხარვეზიანი და ორაზროვანი საკანონმდებლო რეგულაციები აფერხებდა მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის გამჭვირვალედ წარმართვისა და ობიექტური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

მეორე ანგარიშში ორგანიზაციებმა ასევე ერთობლივად წარადგინეს რეკომენდაციები საბჭოს საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.

საიამ და საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ საბჭოს საქმიანობის მონიტორინგი საანგარიშო პერიოდშიც გააგრძელეს.

საარჩევნო კამპანიის მედია მონიტორინგი

საანგარიშო პერიოდში, საიას მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის ფარგლებში, გარდა მედიის წარმომადგენელთა სამართლებრივი დახმარებისა, განხორციელდა კვლევა საარჩევნო კამპანიის მედია მონიტორინგის თაობაზე.

კვლევის ფარგლებში საიამ შეისწავლა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა დროს განხორციელებული საარჩევნო კამპანიის მედია მონიტორინგის პრაქტიკა. კვლევამ გამოავლინა ცალკეული ხარვეზები მაუწყებელთა ვალდებულებების შესრულებაზე კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ჩატარებულ საარჩევნო კამპანიის მედია მონიტორინგთან დაკავშირებით.

კვლევა ასევე შეიცავს რეკომენდაციებს მომავალ საარჩევნო პერიოდში ეფექტიანი მედია მონიტორინგის განხორციელებისათვის.

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა

2014 წელს პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად საიამ მოამზადა მსგავსი ტიპის პირველი კვლევა საქართველოში, რომელიც დეტალურად აანალიზებს როგორც დისციპლინური სამართალწარმოების სფეროში მოქმედ კანონმდებლობას, ასევე, ამ მიმართულებით საქართველოში არსებულ პრაქტიკას და საერთაშორისო სტანდარტებს. კვლევაში აგრეთვე მოცემულია მთელი რიგი რეკომენდაციები საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებების თვალსაზრისით.

აუდიო-ვიდეო გადაღება სასამართლოში

2014 წლის ოქტომბერში საიამ გამართა კვლევის პრეზენტაცია, რომელიც მიზნად ისახავდა, შეეფასებინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2013 წელს განხორციელებული ცვლილება, რომლის საფუძველზეც, საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელ მედია საშუალებებს სასამართლო პროცესების ფოტო-ვიდეო-აუდიო ჩაწერის უფლება მიენიჭათ. კვლევაში გაანალიზებულია, თუ რა ხარვეზები და გამოწვევები ახლავს თან ამ პროცესს და როგორ აისახება ეს ყოველივე მედიის და, შესაბამისად, საზოგადოებისთვის მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე.

მიგრაციის პოლიტიკისა და კანონმდებლობის განვითარების ხელშეწყობა

საია მიგრანტთა უფლებების დაცვისა და არალეგალური მიგრაციის თაობაზე ცნობიერების ამაღლების გარდა, პარტნიორ ორგანიზაციასთან – მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი (CIPDD) – ერთად მუშაობს მიგრაციის საკანონმდებლო რეგულირებისა და, ზოგადად, მიგრაციის პოლიტიკის საკითხებზე.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა შემდეგი კვლევები:

- მუშაობის ნებართვა და შრომის ინსპექცია – ნიდერლანდები, გერმანია და პოლონეთი.
- შეთანხმებები ლეგალურად დასაქმებულთა სოციალური უზრუნველყოფის თაობაზე – არსებული პრაქტიკა, შესაძლებლობები და პერსპექტივები საქართველოსთვის.
- მიგრაცია და განვითარება – ემიგრანტების როლის გაზრდა ქვეყნის განვითარების პროცესში.

ქალთა მიმართ დისკრიმინაცია

საანგარიშო პერიოდში მომზადდა კვლევა – საქართველოს შრომის კანონმდებლობის ანალიზი – დასაქმების ადგილზე სქესის ნიშნის მიხედვით დისკრიმინაცია და მისი ადგილობრივი შედეგები. კვლევის მიზანია, სისტემური, შედარებითი და ანალიტიკური მეთოდის გამოყენებით, საქართველოს შრომის კანონმდებლობაში იმ საკითხების გამოკვლევა, რაც დასაქმების ადგილზე სქესის ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციას, ასევე, მის სამართლებრივ შედეგებსა და დაცვის კონკრეტული მექანიზმების წარმოჩენას უკავშირდება.



კვლევა დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოების შესახებ

2014 წლის 4 ივნისს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და სახალხო დამცველმა გამართეს ერთობლივი კონფერენცია სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულების ეფექტური გამოძიების საკითხებზე. ღონისძიებაზე საიამ წარმოადგინა კვლევა სხვადასხვა ქვეყანაში არსებული დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოების მოდელების შესახებ და ხაზი გაუსვა სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი დანაშაულების ეფექტური გამოძიების შექმნის აუცილებლობას საქართველოში.

საიას მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესში

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საია განაგრძობდა მონაწილეობას კანონშემოქმედებით პროცესში, ნორმატიული აქტების პროექტებზე მოსაზრებების მომზადებისა და პარლამენტისათვის საკუთარი საკანონმდებლო წინადადებების წარდგენის გზით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ინიცირებულ იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი ახალი კანონის პროექტი, რომელიც უფრო მეტ ძალისხმევას და სამუშაოს მოითხოვდა როგორც პარლამენტის, ასევე დაინტერესებული პირების მხრიდან. საიას, გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებლობა ჰქონდა, შემუშავების პროცესში შეესწავლა კანონპროექტები და, ამ პროექტების საკანონმდებლო ინიციატივებად ქცევამდე, მათთან დაკავშირებული რეკომენდაციები შესაბამისი უწყებებისათვის მიეწოდებინა. ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში, ორგანიზაცია მონაწილეობდა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების განხილვაში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ პარლამენტს მიაწოდა 13 წერილობითი დასკვნა კანონპროექტებზე, სხვადასხვა სამთავრობო უწყებას კი – 10 წერილობითი მოსაზრება ნორმატიული აქტების პროექტებზე, ამასთან, საპარლამენტო კომიტეტების სხდომებზე საიამ ზეპირი ფორმით საკუთარი მოსაზრება დააფიქსირა 9 კანონპროექტზე და გამოაქვეყნა 44 განცხადება კანონშემოქმედებით პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე. საიას მიერ წერილობითი ფორმით წარდგენილი 13 დასკვნიდან პარლამენტმა 1 სრულად გაითვალისწინა, 5 – ნაწილობრივ, 5 – არ გაითვალისწინა, 2 კი – განხილვის პროცესშია.

პარლამენტში წარდგენილი 13 დასკვნიდან 5 შეეხებოდა ახალი კანონის პროექტებს. ესენია:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.
2. დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.
3. სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ.
4. უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.
5. მოქალაქეობის შესახებ.

სხვადასხვა ნორმატიული აქტის პროექტზე მომზადებული წერილობითი მოსაზრებები და რეკომენდაციები შეეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ადამიანის უფლებათა სტრატეგია, ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმები, პატიმრობის კოდექსი, შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებები ქალთა უფლებების გაძლიერების თვალსაზრისით და ა.შ.

საკომიტეტო მოსმენების დროს ზეპირი ფორმით წარდგენილი მოსაზრებები შეეხებოდა:

- „მოსმენების“ დასარეგულირებლად შემუშავებულ საკანონმდებლო პაკეტს.
- უკანონო აბორტისათვის სასჯელის გამკაცრებასთან დაკავშირებულ ინიციატივას.
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში პატიმრებთან დაკავშირებით შესატან ცვლილებებს.
- დაზარალებულებსა და საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს და ა.შ.

გამოქვეყნებული განცხადებები შეეხებოდა სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს, მათ შორის:

- ადვოკატებისათვის გარკვეული ვალდებულებების დაკისრების მიზნით ინიცირებული კანონპროექტი.
- მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის გაურკვეველი დროით გადავადება.
- ციხეებში საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის შექმნის საჭიროება.
- მოწმეთა დაკითხვის ახალი წესების ამოქმედების გადავადება.
- მოსამართლეების გამოსაცდელი ვადა და მათი შეფასების სისტემა.
- თავისუფლების შეზღუდვის ამოქმედების გადავადება და სხვა.

ნორმატიული აქტების პროექტების განხილვისას საიას ცალკეული რეკომენდაციები მხედველობაში იყო მიღებული. მათგან აღსანიშნავია:

1. „მოსმენების“ კანონპროექტი (ეს შენ გეხება) – საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კამპანია „ეს შენ გეხებას“ მიერ მხარდაჭერილი კანონპროექტი უკანონო მოსმენების წინააღმდეგ. საია აღნიშნული კამპანიის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო. ახალი საკანონმდებლო რეგულაციებიდან აღსანიშნავია საკითხები, რომელთა მიხედვით:

- განისაზღვრა დანაშაულის კატეგორია და პირთა წრე, რომელთა მიმართაც ნებადართულია ფარული ღონისძიების გამოყენება.
- შეიზღუდა ფარული მიყურადებისა და თვალთვალის ხანგრძლივობის ლიმიტი და იგი ვერ გაიცემა 6 თვეზე მეტი ვადით.
- ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების შედეგად მოპოვებული მასალის შინაარსისა და ამ მასალის განადგურების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს პირს, რომლის მიმართაც განხორციელდა ფარული საგამოძიებო მოქმედება.
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი განახორციელებს ზედამხედველობას ფარული საგამოძიებო ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

2. ადმინისტრაციული პატიმრობა – საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის იმ ნორმებში, რომლებიც ადმინისტრაციულ პატიმრობას შეეხება. აღნიშნულ საკითხებს (გარდა პატიმრობის ვადის შემცირებისა) მოიცავდა საიას მიერ მომზადებული კონსტიტუციური სარჩელი, რომლითაც მოქალაქე რევაზ კოპალიანი სამართალდარ-

ღვევათა კოდექსის იმ ნორმებს ასაჩივრებდა, რომლებიც ადმინისტრაციულ პატიმრობას შეეხებოდა. საიას მიერ მომზადებულ სამართლებრივ დასკვნაში მითითებული იყო იმ პრობლემებზე, რომლებსაც კანონპროექტი ვერ აგვარებდა. კერძოდ: (1) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის სასამართლოში განხილვის ვადების სიმცირე და (2) სასამართლო პროცესზე სავარაუდო სამართალდამრღვევის მიყვანის უზრუნველსაყოფად ადმინისტრაციული დაკავების გამოყენების არამართებულობა. საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენიდან მეორე მოსმენაზე დააბრუნა აღნიშნული კანონპროექტი, რათა მასში აესახა საიას ერთ-ერთი რეკომენდაცია და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე, 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე სასამართლოს მიერ საქმის განხილვის უკიდურესად მცირე – 1-დღიანი ვადა 3 დღემდე გაეზარდა.

3. გათავისუფლებული მოხელეები – მიმდინარე წლის თებერვალში „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონს დაემატა ნორმა, რომელიც არჩევნების შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების გათავისუფლებას ითვალისწინებდა. აღნიშნული საკითხი საიასა და მისი პარტნიორი ორგანიზაციების მხრიდან მწვავე კრიტიკის არეალში მოექცა. მზადდებოდა სარჩელი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით, თუმცა, მაისის თვეში პარლამენტმა მიიღო კანონი და სადავო ნორმა გააუქმა.

4. კულტურული მემკვიდრეობა – საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტით, საგრძნობლად მარტივდებოდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის პროცედურა. საიას მოსაზრებით, აღნიშნული ინიციატივა წინააღმდეგობაში იყო საქართველოს კონსტიტუციასთან, შესაბამის კონვენციასთან, არ ემსახურებოდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და მნიშვნელოვნად ამცირებდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესაძლებლობას. კანონპროექტით გამოწვეული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების შესახებ საიამ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციას (UNESCO) მიმართა, პარლამენტს კი, „ტიფლისის ჰამქართან“ ერთად, სამართლებრივი დასკვნა და მოქალაქეების პეტიცია ნარუდგინა, ასევე, გაავრცელა რამდენიმე საჯარო განცხადება. საბოლოოდ, პარლამენტმა აღნიშნული კანონპროექტის განხილვა შეაჩერა.

5. რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა – 2013 წელს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანი ცვლილებებისთვის მეორე მოსმენის წინ დამატებული ნორმა ითვალისწინებდა სანქციებს მორწმუნეებისა თუ სასულიერო პირების წინააღმდეგ გამოხატული სიძულვილისა და მათი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისათვის.

საია, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, ეწინააღმდეგებოდა ამგვარ რეგულირებას და მიიჩნევდა, რომ ინიციატივა არ შეესაბამებოდა ადამიანის უფლებების კონსტიტუციურ და საერთაშორისო სტანდარტებს და არსებითად აზიანებდა გამოხატვის თავისუფლებას, პლურალური, ლიბერალური და დემოკრატიული საზოგადოების განვითარების პროცესს ქვეყანაში. ორგანიზაციებმა აღნიშნულ საკითხზე რამდენიმე განცხადება გაავრცელეს. საბოლოოდ, კრიტიკა გაზიარებულ იქნა, ხოლო კანონპროექტიდან აღნიშნული ნორმა საერთოდ ამოიღეს.

საკანონმდებლო წინადადებები

საანგარიშო პერიოდში საიამ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა 3 საკანონმდებლო წინადადება:

1. საკანონმდებლო წინადადება „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

საკანონმდებლო წინადადება მიზნად ისახავდა საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა უფლებების ჯეროვან აღიარებასა და დაცვას საერთაშორისო სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისად.

ცვლილებების თანახმად, კომპენსაციის ოდენობა უნდა გაზრდილიყო სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ სტანდარტულ ოდენობასთან შედარებით და მომხდარიყო კომპენსაციის მინიმალური და მაქსიმალური ზღვრის დაწესება (არანაკლებ 2000 ლარისა და არაუმეტეს 10000 ლარისა). აღნიშნულ საკანონმდებლო წინადადებას 2013 წლის 12 დეკემბერს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მხარი დაუჭირა იმ დათქმით, რომ ამ საკითხზე უნდა გამართულიყო კონსულტაციები და პოზიციების შეჯერებულიყო მთავრობასთან. 2014 წლის საშემოდგომო სესიაზე პარლამენტმა მხარი დაუჭირა იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტს ამავე თემაზე, რომლის შემუშავებაშიც საია, ჩვენი მცდელობის მიუხედავად, ჩართული არ ყოფილა.

2. ცვლილებები და დამატებები საქართველოს ორგანულ კანონში „შრომის კოდექსი“

საიას მიერ მომზადებული საკანონმდებლო წინადადების მიზანია შრომის კოდექსში არსებული საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრა. კერძოდ, წინადადების თანახმად, კოდექსს უნდა დაემატოს ისეთი მნიშვნელოვანი ცნებების განმარტება, როგორიცაა „დასვენების დრო“ და „სამუშაო დრო“, ასევე, საკანონმდებლო დონეზე უნდა განმტკიცდეს დასაქმებულის უფლება სამუშაო დღის განმავლობაში ერთსაათიანი დასვენებით სარგებლობასთან დაკავშირებით.

საკანონმდებლო წინადადებაში დასმული საკითხების აქტუალურობა ერთხმად გაიზიარეს როგორც შესაბამისმა საპარლამენტო კომიტეტებმა, ასევე სამინისტროებმა. თუმცა, წინადადებას საბოლოოდ მხარი არ დაუჭირეს იმ არგუმენტით, რომ მიზანშეწონილია, შრომის კოდექსში ცვლილებები შევიდეს არა ფრაგმენტულად, არამედ მომზადდეს უფრო მასშტაბური ცვლილებათა პაკეტი. ამ მიზნით, დაგეგმილია სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომლის წევრადაც ასევე მიწვეულია საია.

3. საკანონმდებლო წინადადება „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებების თაობაზე

აღნიშნული კანონი განსაზღვრავს პირთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ სახელმწიფოს მიერ გასაცემი კომპენსაციებისა და აკადემიური სტიპენდიების გაანგარიშების წესებს. თუმცა, კანონით დადგენილი წესები შეუსაბამოა თავად ამ კანონის ძირითად პრინციპებთან – სამართლიანობასა და კანონის წინაშე თანასწორობასთან. საიას საკანონმდებლო წინადადება მიზნად ისახავს აღნიშნული უთანასწორობის აღმოფხვრას და კომპენსაციის გაცემის სამართლიანი სისტემის დანერგვას. პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა მხარი დაუჭირა აღნიშნულ საკანონმდებლო წინადადებას.

4. კანონის პროექტი საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის წესში შესატან ძირეულ ცვლილებებთან დაკავშირებით

კანონპროექტის მიზანია, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შერჩევის პროცესი გახდეს გამჭვირვალე და დასაბუთებული, დაფუძნებული ობიექტურ კრიტერიუმებზე, ხოლო გადაწყვეტილებები მიიღებოდეს კანდიდატის პროფესიონალიზმისა და პიროვნული თვისებების შესწავლის საფუძველზე.

საკანონმდებლო წინადადების წარდგენა პარლამენტში არ მომხდარა, ვინაიდან არჩეულ იქნა აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებასთან მისი წინასწარი ადვოკატირების სტრატეგია. ამ მიზნით, საანგარიშო პერიოდში რამდენიმე ღონისძიება გაიმართა.

სამუშაო ჯგუფებში საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში საია კვლავ აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა კომისიისა და სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში, კერძოდ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში შექმნილ შემდეგ სამუშაო ჯგუფებში:

- 2013 წლის ივნისში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია სტიქიური მოვლენების შედეგად ეკომიგრაციული პროცესების მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავება. საია, სხვა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად, ჩაერთო აღნიშნული სამუშაო ჯგუფის მუშაობაში. ამ დროისათვის შემუშავებულია კანონის პროექტი, თუმცა, მასში რჩება სადავო პუნქტები, რომლებზეც ჯგუფის წევრებს შორის პოზიცია არ შეჯერებულა, შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება.
- საია ასევე არის პრივატიზაციის სამუშაო ჯგუფის წევრი. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ჯგუფი მუშაობდა 2013 წლის განმავლობაში განხორციელებული პრივატიზაციის პროცესის შემაჯამებელ ანგარიშზე.
- საია იყო იმ სამუშაო ჯგუფის წევრი, რომელიც დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის განახლებაზე მუშაობდა.

საიას საქმიანობა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში

სხვადასხვა სამუშაო ჯგუფში მონაწილეობასთან ერთად, საანგარიშო პერიოდში, საია, როგორც კომისიის ერთ-ერთი წევრი, მონაწილეობდა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში. ამ დროისათვის საიამ კომისიას წარუდგინა წერილობითი მოსაზრებები კონსტიტუციის მე-5 თავში (სასამართლო ხელისუფლება) შესატან ცვლილებებსა და დამატებებთან დაკავშირებით.

საიას საქმიანობა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით

ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში

2013 წლის 26 დეკემბერს, პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით, საარჩევნო საკითხებზე მომუშავე რიგით მეორე ინტერფრაქციული ჯგუფი შეიქმნა, რომლის მთავარ დანიშნულებას თვითმმართველობის არჩევნების ჭრილში საარჩევნო კოდექსსა და სხვა სამართლებრივ აქტებში აუცილებელი ცვლილებების განხორციელება წარმოადგენდა. საიას შესაძლებლობა ჰქონდა, რეკომენდაციები წარედგინა ინტერფრაქციული ჯგუფისთვის და მონაწილეობა მიეღო ჯგუფის სამუშაო შეხვედრებში.

საიას მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად (სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო) წარდგენილი რეკომენდაციები ეხებოდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა საკრებულოს არჩევნების ჩატარება მრავალმანდატიან ოლქებში და 50%-იანი ბარიერის შემოღება მერების/გამგებლების არჩევნებისათვის. რეკომენდაციების წარდგენის მიზანი იყო სამართლიანი საარჩევნო სისტემის შექმნა.

ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობისა და პარლამენტში გამართული განხილვების შედეგად, საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილებები საარჩევნო სისტემის, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების, კენჭისყრის პროცედურების, მედია გაშუქების და სხვა საკითხების თაობაზე.

მიუხედავად საარჩევნო სისტემის გაუმჯობესებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სტაბილურობის მიზნით გადადგმული კონკრეტული პოზიტიური ნაბიჯებისა, არსებითი ხასიათის ცვლილებები, რომლებიც გააუმჯობესებდა საარჩევნო გარემოს, არ განხორციელებულა. საქართველოს პარლამენტმა არ შეცვალა საარჩევნო სისტემა საკრებულოს არჩევნებისათვის და არ გაითვალისწინა საკრებულოს საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

დამკვირვებელთა ლიგა

2014 წლის 13 ივნისს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ „დამკვირვებელთა ლიგის“ პრეზენტაცია გამართა.

„დამკვირვებელთა ლიგის“ უმთავრესი მიზანია საიას გამოცდილი დამკვირვებლების ჩართვა საარჩევნო და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმაში და საზოგადოების ახალგაზრდა ნაწილის გააქტიურება ამ პროცესში საკუთარი პოზიციის დაფიქსირების კუთხით.

ლიგამ თავისი პირველი აქტივობა უშუალოდ არჩევნების დღეს განახორციელა. საიას გამოცდილ დამკვირვებელთა ჯგუფი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს აქტიურად აკვირდებოდა და ნებისმიერ დარღვევაზე სათანადოდ რეაგირებდა. დამკვირვებელთა ლიგა მუშაობდა როგორც დარღვევების პრევენციის, ისე დარღვევების აღმოფხვრის მიმართულებით.

2014 წლის ადგილობრივი არჩევნები

- **წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგი**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგს 1-ლი აპრილიდან 14 ივნისამდე რეგიონული ოფისების მეშვეობით, საქართველოს 9 რეგიონში: აჭარაში, გურიაში, იმერეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, სამეგრელოსა და თბილისში 20-მდე მონიტორის მეშვეობით ახორციელებდა.

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო პერიოდში ნაკლები იყო დარღვევის ფაქტები 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, თუმცა, უფრო მეტი პრობლემა დაფიქსირდა, ვიდრე 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში.

საარჩევნო დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ორგანიზაცია შესაბამის ინფორმაციას საარჩევნო ადმინისტრაციაში, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიასა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურში წარადგენდა.

წინასაარჩევნო პერიოდში საიამ უწყებათაშორის კომისიაში 14 განცხადება წარადგინა, რომელთა საფუძველზეც, კომისიამ მნიშვნელოვანი რეკომენდაციები შეიმუშავა.

სავარაუდოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისა და უკანონო აგიტაციის ფაქტებზე საიამ საარჩევნო ადმინისტრაციაში 5 განცხადება წარადგინა, რომელთაგან 4 დაკმაყოფილდა, შედგა სამართალდარღვევის ოქმები და საქმეები შესასწავლად სასამართლოს გადაეგზავნა.

პოლიტიკური დაფინანსების წესების დარღვევის გამო, საიამ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში 3 განცხადება წარადგინა, რომელთაგან 1 დაკმაყოფილდა, მიმდინარეობს შესწავლა 2 საქმესთან დაკავშირებით.

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის საია აქტიურად იყო ჩართული სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან არსებული არასამთავრობო ორგანიზაციებით დაკომპლექტებული

საკონსულტაციო კომისიის მუშაობაში, რომელიც განიხილავდა სამსახურის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას პოლიტიკური დაფინანსების მარეგულირებელი წესების აღსრულების, მათ შორის, შესაძლო დარღვევის თაობაზე.

წინასაარჩევნო პერიოდში საიამ საარჩევნო გარემოს მონიტორინგის 2 შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა.

- **2014 წლის 15 ივნისის არჩევნების კენჭისყრის დღე, განმეორებითი არჩევნები და მერის/გამგებლის არჩევნების მეორე ტური**

საია დააკვირდა როგორც 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების, ასევე, განმეორებითი არჩევნებისა და მერის/გამგებლის არჩევნების მეორე ტურის კენჭისყრის დღესაც.



კენჭისყრის დროს საიას არ დაუფიქსირებია მნიშვნელოვანი დარღვევები, რომლებსაც არჩევნების შედეგებზე გავლენის მოხდენა შეეძლო.

- **არჩევნების შემდგომი პერიოდი**

საია დააკვირდა როგორც 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების, ასევე განმეორებითი არჩევნებისა და მერის/გამგებლის არჩევნების მეორე ტურის შემდგომ პერიოდს.

15 ივნისის არჩევნების დღის შემდგომი პროცედურების დაკვირვებას ორგანიზაცია 38 საოლქო საარჩევნო კომისიასა და ცესკოში ახორციელებდა. დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, საია, შესაბამისი საჩივრებით, საოლქო საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოს მიმართავდა.

საჩივრების წარდგენის დროს მთელ რიგ უბნებზე საიამ კენჭისყრის შედეგების გადათვლა მოითხოვა. ასევე, ცალკეულ უბნებზე, სადაც, სავარაუდოდ, ადგილი ჰქონდა საარჩევნო კანონმდებლობის უხეშ დარღვევას შედეგების შეჯამების დროს, რასაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა კენჭისყრის შედეგებზე, მოითხოვა კენჭისყრის შედეგების ბათილობა. მაგალითად, 14 საუბნო საარჩევნო კომი-

სიიდან 6 უბანზე, რომლებზეც განმეორებითი კენჭისყრა განხორციელდა, არჩევნები სწორედ საიას დამკვირვებელთა საჩივრების დაკმაყოფილების შედეგად დაინიშნა. საჩივრების წარდგენის დროს საიამ, დარღვევათა შემდგომი პრევენციის მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სამართალდარღვევის ჩამდენ საარჩევნო კომისიის წევრებზე.



საიას დარღვევების ანალიტიკური ბაზა

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ საიას საარჩევნო-ანალიტიკურ ბაზაში რეალურ დროში ხდებოდა ინფორმაციის შეგროვება და მისი ანალიზი – საქართველოს ყველა რეგიონში წარგზავნილი დამკვირვებლებისა და ანალიტიკოსების მეშვეობით. „დამკვირვებელთა ლიგის“ წევრები მყისიერად რეაგირებდნენ ნებისმიერ დარღვევაზე, რის შესახებაც დაუყოვნებლივ აცნობებდნენ საიას ბაზის ოპერატორებს, რომლებიც მუდმივ რეჟიმში ასახავდნენ ინფორმაციას ბაზაში. შესაბამისად, საიას ანალიტიკურ შტაბს მყისიერად მიეწოდებოდა ინფორმაცია არსებული მდგომარეობის შესახებ დედაქალაქში და საქართველოს იმ ათ რეგიონში, სადაც საიას დამკვირვებლები იმყოფებოდნენ.

ადგილობრივი თვითმმართველობის კუთხით განხორციელებული აქტივობები

საიამ, სომხეთის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასა და ჩეხურ არასამთავრობო ორგანიზაცია „აგორა ცე“-სთან პარტნიორობით, განახორციელა პროექტი – „მოქალაქეების თანამონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილების მიღების პროცესში: ევროკავშირის გამოცდილების გაცნობა.“

პროექტი ხორციელდებოდა საქართველოსა და სომხეთში 4 თვის განმავლობაში – 2014 წლის 1 მაისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით, ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით და მიზნად ისახავდა ჩეხეთის რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაზე სამოქალაქო ზედამხედველობის საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარებას, ასევე, საქართველოსა და სომხეთის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში მოქალაქეთა თანამონაწილეობის ზრდას.

საიასა და სომხეთის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მოხდა სათემო განხილვების ფასილიტაცია: სომხეთში – ლორის მარზაში (რეგიონში), ხოლო საქართველოში – სამცხე-ჯავახეთში. საუბარი შეეხო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უნარ-ჩვევების ზრდასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე ზედამხედველობის გაძლიერებას.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის შექმნა

საანგარიშო პერიოდში საია, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, ადვოკატირებას უწევდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის შექმნის იდეას. ამ მიზნით საიამ ორგანიზება გაუწია არაერთ სამუშაო შეხვედრას არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის და საჯარო ღონისძიებას სასჯელაღსრულების სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების მონაწილეობით. შედეგად, სამინისტროს ხელმძღვანელობით, შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც მონიტორინგის მექანიზმზე იმუშავებს. აღნიშნული ჯგუფის ფარგლებში განისაზღვრა მექანიზმის მოდელი, გაიწერა მისი საქმიანობის ძირითადი პრინციპები, მექანიზმში შემავალი ორგანიზაციების და მონიტორების შერჩევის წესი და კრიტერიუმები, ასევე, მათი ქცევის სტანდარტები და ა.შ. მუშაობის პროცესში საიას პრაქტიკულად ყველა წინადადება მხარდაჭერილი და გაზიარებული იყო.

აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკებები მოულოდნელად შეწყდა 2014 წლის აპრილში სამინისტროს მხრიდან. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამგვარი მექანიზმის შექმნა განისაზღვრა ადამიანის უფლებათა სტრატეგიის სამოქმედო გეგმით, როგორც სახელმწიფოს ერთ-ერთი ვალდებულება. ასევე, საიას ადვოკატირებით, მექანიზმის შექმნის საჭიროებაზე ყურადღება გაამახვილა გაეროს უმაღლესმა კომისარმა ადამიანის უფლებათა საკითხებში. კომისრის მიერ ეს საკითხი ხელისუფლებისადმი მიმართულ რეკომენდაციათა პაკეტში აისახა.

საია, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, კვლავ აგრძელებს თემის ადვოკატირებას.

კვალიფიციური იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება

კვალიფიციური იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება

ახალგაზრდა იურისტების პროფესიული დაოსტატება, იურიდიული პროფესიის განვითარება და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იურიდიული და სამოქალაქო განათლების სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა იყო და რჩება საიას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებად. საია გასულ საანგარიშო პერიოდშიც აქტიურად განაგრძობდა საგანმანათლებლო საქმიანობას ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე. ახალგაზრდებისათვის ალტერნატიული, განგრძობადი იურიდიული განათლება, სპეციფიკური უნარ-ჩვევების (კონსტრუქციული დებატი, სასამართლოში იურისტის გამოსვლის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, სამართლებრივი წერის უნარ-ჩვევები, იურიდიული დოკუმენტების მომზადების ტექნიკა) განვითარების ხელშეწყობა, მიზნობრივი ტრენინგებისა და საჯარო დისკუსიების ორგანიზება და მუდმივი სიახლეები საინფორმაციო, საგამომცემლო კუთხით – ეს არის ის საქმიანობა, რომელსაც იურიდიული პროფესიით დაინტერესებულ პირებს სთავაზობს საიას იურიდიული სწავლების ცენტრი და საიას მიერ დაფუძნებული იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი.

ფონდის სასწავლო კურსები

ტრადიციულად, ფონდი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თბილისში 6-თვიანი სასწავლო კურსების ფუნქციონირებას. 2013-2014 სასწავლო წელს იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდს კურსების გავლის 85-მა მსურველმა მიმართა. აქედან მხოლოდ 56 სტუდენტს მიეცა საშუალება, სასწავლო კურსები გაევლო. სტუდენტები 6 თვის განმავლობაში ეუფლებოდნენ ცოდნას შემდეგი მიმართულებით:

- შესავალი სამართალში
- სამოქალაქო სამართალი
- სისხლის სამართალი

სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ, საბოლოო გამოცდაზე დაიშვა 56-ივე სტუდენტი. აქედან მხოლოდ 23-მა სტუდენტმა დაიმსახურა საიასა და ფონდის ერთობლივი დიპლომი, 31 სტუდენტს გადაეცა სერტიფიკატი, ხოლო 2-მა სტუდენტმა ვერ შეძლო 50%-იანი ბარიერის გადალახვა.

ფონდმა 18 ივლისს კიდევ ერთი წარმატებული სასწავლო წლის დასრულება აღნიშნა პროფესორ-მასწავლებლებთან, ადვოკატებთან, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფონდების წარმომადგენლებთან ერთად.

ფონდის და საიას ინიციატივით, ერთ წარმატებულ კურსდამთავრებულს საშუალება მიეცა, თბილისის იურიდიული დახმარების ცენტრში სისხლის სამართლის მიმართულებით სტაჟირება გაევლო.

სასწავლო პროცესის მიწურულს, ფონდმა, ტრადიციისამებრ, სტუდენტებისათვის ორგანიზება გაუწია იმიტირებულ სასამართლო პროცესებს საქართველოს უზენაეს სასამართლოში. სტუდენტებს აფასებდა ჟიური, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ მოსამართლეები, ადვოკატები, საჯარო სამსახურების წარმომადგენლები და დარგის სპეციალისტები.

დებატების ხელოვნება

ფონდის პრიორიტეტად, როგორც თბილისში, ასევე საქართველოს რეგიონებში, კვლავ რჩება იურისტ-სტუდენტების დახელოვნება კონსტრუქციულ დებატებში. საანგარიშო პერიოდში ფონდი ორგანიზებას უწევდა დებატების კურსებს თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. სტუდენტები ეუფლებოდნენ კონსტრუქციული კამათის ხელოვნებას, დებატის კულტურას, სწრაფ აზროვნებასა და ანალიზს, აგრეთვე, იურიდიულ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების უნარებს.

ფონდის ორგანიზებით 2014 წლის მაისი-ივნისის თვეებში ჩატარდა დებატების ტურნირი, რომელიც მოიცავდა როგორც შიდა, ისე ეროვნულ ტურნირებს. მონაწილეები დებატობდნენ საკითხზე – საქართველოს ევროინტეგრაცია.

საუკეთესო მოდებატეებსა და გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ სხვადასხვა სახის სამართლებრივი ლიტერატურა და ფასიანი საჩუქრები. წელს ეროვნულ ტურნირში გამარჯვებულად გამოვლინდა იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის სამოქალაქო სამართლის ჯგუფის გუნდი.

ოლიმპიადა „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისთვის“

წინა წლების მსგავსად, 2013 წლის დეკემბერში იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდმა ორგანიზება გაუწია ოლიმპიადას „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისათვის“. საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერითა და საკონსტიტუციო სასამართლოსთან თანამშრომლობით, ოლიმპიადა გაიმართა ბათუმში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.

ოლიმპიადაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 80-მდე გუნდმა საქართველოს მასშტაბით. სამწუხაროდ, კვლავ ნაკლები დაინტერესება იყო რეგიონებიდან. განმცხადებელთა 95%-ს თბილისის სასწავლებლის გუნდები შეადგენდნენ.

წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით, საწყის ეტაპზე შეირჩა 8 გუნდი. 5-8 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გაიმართა როგორც შესარჩევი რაუნდები, ასევე ნახევარფინალი და ფინალი. იმიტირებულ პროცესებს თავმჯდომარეობდა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი მაია კოპალეიშვილი, ხოლო სასამართლო შემადგენლობაში შედიოდნენ დარგის სპეციალისტები და გერმანელი მოსამართლე.

ოლიმპიადა 8 დეკემბერს საზეიმო ვითარებაში დაიხურა, რა დროსაც საკონსტიტუციო სამართლის საუკეთესო მცოდნეს საკონსტიტუციო სასამართლომ შესთავაზა 6 თვიანი ანაზღაურებადი სტაჟირება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. საუკეთესო მოსარჩელეებად დასახელდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი კონსტანტინე კოტორეიშვილი და თსუ-ს სტუდენტი სალომე ჯოხაძე, ხოლო საუკეთესო მოპასუხეებად – თსუ-ს სტუდენტი ზურაბ კაპანაძე და თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტი გვანცა კვარაცხელია.

იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის რჩეული გახდა თსუ-ს სტუდენტი გვანცა ხარებავა. თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტს გვანცა კვარაცხელიას კი, საიამ შესთავაზა სტაჟირება სტრატეგიული სამართალწარმოების მიმართულებით.

ფინანსურმა მხარდამჭერმა IRZ-მა გამარჯვებულ გუნდს გადასცა მთავარი პრიზი – ერთკვირიანი ვიზიტი გერმანიაში საქართველოს დელეგაციასთან ერთად, სხვადასხვა ოფიციალურ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად.

სამოქალაქო განათლების საკვირაო სკოლა

საანგარიშო პერიოდში იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდმა მესამე მიღება გამოაცხადა სამოქალაქო განათლების საკვირაო სკოლაში.

საკვირაო სკოლა ფუნქციონირებდა როგორც თბილისში, ასევე ბათუმსა და ქუთაისში. საკვირაო სკოლაში სკოლის მოსწავლეებს პროფესიონალი იურისტები და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები უკითხავენ ლექცია-სემინარებს პრაქტიკული სამართლისა და სამოქალაქო განათლების შემდეგ საკითხებზე: ადამიანის ძირითადი უფლებები, თავისუფლებები და მათი დაცვის მექანიზმები, ზოგადი ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლის ძირითადი საკითხები, დემოკრატია, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, დანაშაული და სასჯელის სახეები, მოქალაქე და სახელმწიფო.

საანგარიშო პერიოდში ფონდმა საკვირაო სკოლის მუშაობაში ახალ ტრადიციას დაუდო სათავე – ფონდის სასწავლო კურსების წარმატებულ კურსდამთავრებულებს შესთავაზა გაკვეთილების ჩატარება საკვირაო სკოლის მოსწავლეებისთვის, სამართლის სხვადასხვა მიმართულებით. სიახლე საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა და საკვირაო სკოლის მსმენელთა შორის დიდი მოწონება დაიმსახურა.

საანგარიშო პერიოდში, საკვირაო სკოლაში, სამივე ქალაქის მასშტაბით, 180-მდე სკოლის მოსწავლე ირიცხებოდა, რომლებსაც დასრულების შემდგომ გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები, „სამოქალაქო განათლების ლექსიკონები“ და კაზუსების წიგნი – „სამართლის ქალაქი“.

სემინარები და ტრენინგები

საია და იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი კვლავ აგრძელებენ სიახლეებსა და პრობლემატურ იურიდიულ საკითხებზე კვალიფიკაციის ამაღლების ტრადიციას თანამშრომლებისა და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფისთვის.

2013 წლის 21-22 დეკემბერს, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის ფინანსური მხარდაჭერით, საიას სისხლის სამართლის ადვოკატებისა და კონსულტანტებისთვის ჩატარდა ტრენინგი სისხლის სამართლის პრობლემატურ საკითხებზე. ტრენინგში მონაწილეობდა საიას 27 თანამშრომელი როგორც თბილისის, ასევე რეგიონული ოფისებიდან.

ტრენინგზე განხილული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც საიას ადვოკატებს, მათი პრაქტიკული საქმიანობიდან გამომდინარე, ყველაზე პრობლემატურად მიაჩნდათ.

2014 წლის 4-14 აპრილის პერიოდში საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლების საბჭოს (IRZ) პროგრამის – „ქართული მედია აძლიერებს დემოკრატიას, ანგარიშვალდებულებას და მოქალაქეების ინფორმირებულობას“ (G-MEDIA) – ფინანსური მხარდაჭერით, იურიდიული სწავლების ცენტრმა ორგანიზება გაუწია საგამოძიებო ჟურნალისტიკის 10-დღიან სამართლებრივ სკოლას, რომელშიც მონაწილეობდა 17 ჟურნალისტი სხვადასხვა მედია საშუალებიდან.

2014 წლის 13-14 და 16-17 მაისს საიაში დასაქმებული ადვოკატებისა და კონსულტანტებისთვის, ორგანიზაცია „პარტნიორობა – საქართველოს“ დახმარებით, ჩატარდა ტრენინგები ბენეფიციართათვის ეფექტური მომსახურების გაწევის საკითხებზე. ტრენინგებში საიას 35 თანამშრომელი მონაწილეობდა.

საგამოძიებო ჟურნალისტიკის 10-დღიანი სამართლებრივი სკოლის ფარგლებში, მონაწილეებთან ერთად, დარგის წამყვანმა სპეციალისტებმა განიხილეს არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებიც უკავშირდებოდა საგამოძიებო ჟურნალისტიკის თემატიკას, ჟურნალისტის სამართლებრივ იმუნიტეტს, ასევე, ადმინისტრაციული სამართლის, საგადასახადო, სახელმწიფო შესყიდვების, ლიცენზირებისა და სისხლის სამართლის საკითხებს.

2014 წლის 3-4 ივლისს, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის ფინანსური მხარდაჭერით, საიას სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით მომუშავე ადვოკატ-კონსულტანტებისთვის ჩატარდა ტრენინგი „საქართველოს საგადასახადო სისტემა და გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის სამართლებრივი მექანიზმები“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო საიას 25-მა თანამშრომელმა, როგორც თბილისის, ასევე რეგიონული ოფისების მასშტაბით. ტრენინგზე განხილული იყო საგადასახადო ადმინისტრირების, კონტროლისა და საგადასახადო პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები.

2014 წლის 5-6 ივლისს, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის ფინანსური მხარდაჭერით, იურიდიული სწავლების ცენტრმა ორგანიზება გაუწია ტრენინგს, რომელშიც მონაწილეობდა 23 ჟურნალისტი სხვადასხვა მედია საშუალებიდან მთელი საქართველოს მასშტაბით.

ტრენინგზე განხილული იყო მართლმსაჯულების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, მედიის მიერ სასამართლო პროცესების გაშუქების სამართლებრივი რეგულაციები და პრობლემები.

იურიდიული განათლების თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა

საანგარიშო პერიოდში კვლავ წარმატებით გრძელდებოდა 2010 წელს IRZ-ისა და GIZ-ის ფინანსური მხარდაჭერით დაწყებული პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა იურიდიულ განათლებაში სწავლების მეთოდოლოგიის დახვეწასა და გერმანულ სტანდარტთან მიახლოებას.

იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი, IRZ-თან და GIZ-თან ერთად, აქტიურად იყო ჩართული ტრენერთა ტრენინგის ორგანიზებაში, რომელიც 2014 წლის 26-28 ივნისს მუშა ჯგუფების ფორმატში გაიმართა სისხლის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის მიმართულებით. ტრენინგზე ტრენერებად მოწვეულნი იყვნენ გერმანიის პროფესორები, რომლებიც ქართველ პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად განიხილავდნენ კაზუსის ამოხსნის გერმანულ მეთოდს. მოცემული ტრენინგის საფუძველზე და გადამზადებული ქართველი პროფესორ-მასწავლებლების რესურსის გამოყენებით, მომავალში იგეგმება რამდენიმე ტრენინგის ჩატარება, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეეძლება ყველა სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელს. იმავდროულად, ტრენინგზე განხილული და ქართველი პროფესორ-მასწავლებლების მიერ მომზადებული კაზუსები, თავისი ამოხსნით, დაერთვება კაზუსის ამოხსნის მეთოდიკაში ქართულად მომზადებულ სახელმძღვანელოს, რომლის გამოცემა უახლოეს მომავალში იგეგმება.

იურიდიული განათლების ხარისხის კვლევა საქართველოში

საანგარიშო პერიოდში საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდმა, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად (კონსტიტუციის 42-ე მუხლი, ელსა-საქართველო), ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა პროექტი – „ხარისხიანი განათლება ძლიერი ინსტიტუტებისათვის“. პროექტის ფარგლებში ჩატარდა იურიდიული განათლების ხარისხის კვლევა საქართველოში. კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ რამდენად ხარისხიან უმაღლეს იურიდიულ განათლებას სთავაზობენ სტუდენტებს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები, რა სახის მოთხოვნებს უყენებს შრომის ბაზარი საქართველოში იურიდიული განათლების მქონე პირებს და რამდენად აკმაყოფილებენ კურსდამთავრებულები ამ მოთხოვნებს. კვლევის შედეგად მომზადდა ანგარიში, რომელშიც, ძირითად ტენდენციებთან ერთად, მოცემული იყო რეკომენდაციები.

დასავლეთ საქართველოს სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტიპენდია

საანგარიშო პერიოდში იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის ფინანსური მხარდაჭერით, კვლავ წარმატებით აგრძელებდა 2011 წელს დაწყებულ პროექტს – „დასავლეთ საქართველოს სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტიპენდია“.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ფონდის მიერ ქუთაისისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების სამართლის სამაგისტრო პროგრამებიდან, სხვადასხვა კრიტერიუმის საფუძველზე, კონკურსის წესით შერჩეული 12 მაგისტრანტი კვალავ აგრძელებდა სტაჟირებას საიას ქუთაისისა და ბათუმის ფილიალების იურიდიული დახმარების ცენტრებში. ისინი ორგანიზებას უწევდნენ საჯარო დისკუსიებს სხვადასხვა პრობლემატურ საკითხზე; ამზადებდნენ საკანონმდებლო წინადადებებს; ესწრებოდნენ სასამართლო სხდომებს; ამზადებდნენ იურიდიულ დოკუმენტებს; ფონდის სახელით ადგილებზე ორგანიზებას უწევდნენ სამოქალაქო განათლების საკვირაო სკოლებსა და დებატ-კლუბებს; აორგანიზებდნენ ქუთაისისა და ბათუმის დებატების შიდა ტურნირებს; მონაწილეობდნენ იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის მიერ მაგისტრანტი სტუდენტებისთვის ორგანიზებულ ყველა ტრენინგსა და სემინარში.

განსაკუთრებით საინტერესოა მაგისტრანტების მიერ ორგანიზებული დისკუსიების (14 საჯარო დისკუსია) თემატიკა: ოჯახური ძალადობა; განრიდება და მედიაცია; მარიხუანას დეკრიმინალიზაცია; აღმასრულებელი ხელისუფლების სამართლებრივი სტატუსი და უფლებრივი მდგომარეობა კონსტიტუციური ცვლილებების შემდეგ; მედიაციის განვითარების პერსპექტივები; შავი ზღვის ეკოლოგიური და სამართლებრივი პრობლემები და ა.შ.

დისკუსიებში აქტიურად მონაწილეობდნენ სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ადვოკატები. ექსპერტებად მოწვეულნი იყვნენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

საანგარიშო პერიოდში წარმატებით დასრულდა წარმოდგენილი 3-წლიანი პროექტი. აღსანიშნავია, რომ 8 სტიპენდიანტი პროექტის მიმდინარეობისას დასაქმდა.

საინფორმაციო ცენტრი და გამოცემები

საიას იურიდიული ბიბლიოთეკა კვლავ არის ორგანიზაციის ერთ-ერთი მიმზიდველი ადგილი სტუდენტებისა და იურიდიული ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველისათვის.

ყოველწლიურად ხორციელდება ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლება იურიდიული ლიტერატურით. საანგარიშო პერიოდში საიას ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 250 ერთეულით შეივსო შეძენილი და ნაჩუქარი პუბლიკაციებით.

ბიბლიოთეკა ყოველდღიურად საშუალოდ 10-15 მკითხველს ემსახურება, რომელთა შორის არიან იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები, იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის სამართლის კურსის მსმენელები, ასევე, სხვა დაინტერესებული პირები.

საიას ბიბლიოთეკამ, საანგარიშო პერიოდში, მონაწილეობა მიღო **JILEP**-ის მიერ 2013 წლის შემოდგო-

მაზე განხორციელებული იურიდიული ბიბლიოთეკების ხელშეწყობის პროგრამაში. აღნიშნულ შეხვედრაზე პრეზენტაციები წარმოადგინეს ამერიკელმა და ევროპელმა ექსპერტებმა და მონაწილეებს გაუზიარეს გამოცდილება საბიბლიოთეკო ქსელის განვითარების კუთხით. ასევე, გაიმართა დისკუსიები იურიდიული ბიბლიოთეკებისათვის აქტუალურ სხვადასხვა საკითხზე.

იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად კვლავ რჩება ქართულ ენაზე მაღალრეიტინგული იურიდიული ლიტერატურის თარგმნა და ქართველი ავტორების ხელშეწყობა მათ მიერ ახალი სახელმძღვანელოების შექმნისა და გამოცემის პროცესში.

საანგარიშო პერიოდში, **JILEP**-ის ფინანსური მხარდაჭერით, ფონდმა გამოსცა 2 სახელმძღვანელო და რამდენიმე გამოცემა განმეორებით დაბეჭდა. ამ შემთხვევაში, ფონდმა მხოლოდ ბეჭდვა განახორციელა და არა გამოცემების შინაარსობრივი დამუშავება.

საანგარიშო პერიოდში გამოიცა:

- განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი
- გერმანულ-ქართული, ქართულ-გერმანული იურიდიული ლექსიკონი
- იურიდიული მეთოდების მოძღვრება (ტაინჰოლდ ციპელიუსი)
- მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში (შტეფან შმიტი, ჰერალდ რიხტერი)
- სამოქალაქო კაზუსების ამოხსნის მაგალითები (ეთერ ჩაჩანიძე)
- სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა (ჰენშელი)
- გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი (იან კროპჰოლერი)
- სამართლის ქალაქი – სკოლის მოსწავლეებისათვის

აღნიშნული სახელმძღვანელოები გადაეცა თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკას, ადვოკატთა ასოციაციას, საქართველოს საერთო სასამართლოებს, იუსტიციის უმაღლეს სკოლას, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციას, სტუდენტებს.

სტაჟირება იურიდიული დახმარების ცენტრებში

იურიდიული პროფესიის განვითარების, ახალგაზრდა იურისტების კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიონალებად ჩამოყალიბების პროცესში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს თბილისისა და რეგიონული ოფისების იურიდიული დახმარების ცენტრებს, სადაც დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს სტაჟირების პროგრამა სტუდენტებისთვის.

6-დან 8 თვემდე სტაჟირების პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, გამოცდილი იურისტების დავალებითა და მეთვალყურეობით, შეადგინონ სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტი, ადვოკატთან ერთად დაიცვან მოქალაქეთა ინტერესები სასამართლოში და ა.შ.

გასული საანგარიშო წლის განმავლობაში, საიას იურიდიული დახმარების ცენტრში, თბილისისა და 7 რეგიონული ოფისის მასშტაბით, სულ 95 დამწყებ იურისტს მიეცა სტაჟირების გავლის საშუალება. სტაჟიორთა შერჩევა ხდება კონკურსის საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ წინა წლის ნაკადის სტაჟიორებიდან საიას თბილისისა და რეგიონულ ოფისებში დასაქმდა 5, ხოლო 2014 წლის ნაკადიდან – 3 სტაჟიორი.

ფინანსური ანგარიში

საანგარიშო პერიოდი: 2013 წლის 1 ნოემბერი – 2014 წლის 1 ნოემბერი

საიას ფინანსური ანგარიში მოიცავს 2013 წლის 1 ნოემბრიდან 2014 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდს. ამ ხნის განმავლობაში, სხვადასხვა წყაროდან გრანტის, შემოწირულობისა და საწევროს სახით მიღებულია 927,246.97 ლარი. აღნიშნული თანხა, მიღების წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:

ARMENIAN YOUNG LAWYERS ASSOCIATION	9,179.83 ლარი
EWMI	185,930.84 ლარი
IREX	176,462.31 ლარი
ISFED	205,772.49 ლარი
NED	69,668.70 ლარი
OSGF	56,753.76 ლარი
THE SIGRID RAUSING TRUST	195,727.00 ლარი
WFD	12,196.65 ლარი

საწევრო შენატანი	2,420.00 ლარი

სხვადასხვა კერძო და იურიდიული პირის შემოწირულობა	10,650.00 ლარი

სხვადასხვა შემოსავალი	2,485.39 ლარი

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ასოციაციაში არაერთჯერად სამუშაოზე დასაქმებული იყო 128 თანამშრომელი, მათ შორის 62 – რეგიონებში, რომელთა ანაზღაურების საერთო ფონდმა შეადგინა 1,552,504.40 ლარი. ერთჯერადი ჰონორარი გაიცა 352 პიროვნებაზე – საერთო თანხით 327,066.33 ლარი.

კერძო პირებზე გაცემულ მომსახურების ანაზღაურებებზე, ხელფასებსა და ჰონორარებზე დაკავებულ იქნა საშემოსავლო გადასახადი – 400,279.65 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ასოციაციის მიერ შეძენილია 86,306.40 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები, მათ შორის, 42,138.00 ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის საოფისე ტექნიკა რეგიონებისთვის.

ამავე პერიოდში შეძენილია 38,023.21 ლარის ღირებულების საოფისე დანიშნულების სხვადასხვა მცირეფასიანი ნივთი, მათ შორის, რეგიონებისთვის – 17,567.00 ლარის ღირებულების.

აღნიშნულ პერიოდში ასოციაციის, როგორც ცენტრალური ოფისის, ასევე რეგიონული ოფისების ბიბლიოთეკებისთვის შეძენილია 2,316.25 ლარის ღირებულების წიგნები და სხვადასხვა პერიოდული გამოცემა.

ასოციაციის მიერ ორგანიზებული სხვადასხვა სემინარისა და შეხვედრის მოწყობაში, რომლებიც იმართებოდა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, დაიხარჯა 136,927.57 ლარი.

ასოციაციის თანამშრომლებისა და წევრების მგზავრობის ხარჯებმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა 284,506.79 ლარი.

ასოციაციის ოფისების ქირამ შეადგინა 82,163.90 ლარი.

ამავე პერიოდში ორგანიზაციაში გაწეულმა კავშირგაბმულობის ხარჯმა შეადგინა 62,212.48 ლარი, მათ შორის, რეგიონებში – 12,752.38 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ასოციაციის სახსრებიდან ხარჯის სახით მთლიანად დახარჯულია 2,773,869.50 ლარი. აღნიშნული ხარჯი, წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:

ADRA	8,643.66 ლარი
ARMENIAN YOUNG LAWYERS ASSOCIATION	7,808.31 ლარი
BFDW	251,338.22 ლარი
DRC	117,255.38 ლარი
EHRAC	16,197.20 ლარი
ENPI	12,332.22 ლარი
EUROPEAN UNION	309,948.79 ლარი
EWMI	660,467.04 ლარი
IREX	300,187.63 ლარი
ISFED	195,740.28 ლარი
MAPT	99,026.28 ლარი
NDI	106,067.15 ლარი
NED	68,849.81 ლარი
OSF	108,264.31 ლარი
OSGF	188,718.82 ლარი
SIDA	193,977.59 ლარი
THE SIGRID RAUSING TRUST	129,046.81 ლარი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ორგანიზაციული ბალანსი

2014 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით

	ნოემბ. 1, 2014
აქტივები	
ძირითადი საშუალებები	824,534 ლარი
სხვა აქტივები	2,000 ლარი
მიმდინარე აქტივები	
მისაღები ვალდებულებები	834,739 ლარი
ფულადი სახსრები	743,616 ლარი
მთლიანი მიმდინარე აქტივები	1,578,356 ლარი
მიმდინარე ვალდებულებები	
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	8,354 ლარი
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	8,354 ლარი
წმინდა მიმდინარე აქტივები	**1,570,002 ლარი**
საკუთარი აქტივები	2,396,536 ლარი
წმინდა აქტივები	2,396,536 ლარი

აღმ. დირექტორი

ბუღალტერი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მმართველობის ორგანოები

2014 წლის ნოემბრის მდგომარეობით

გამგეობის წევრები

კახა კოჟორიძე – თავმჯდომარე
ნინო ბაქაქური – თავმჯდომარის მოადგილე
ბესარიონ აბაშიძე
ბესარიონ ბოხაშვილი
ეკატერინე გასიტაშვილი
თამარ გურჩიანი
მიხეილ დაუშვილი
გიორგი ზედელაშვილი
ნინო თვალთვაძე
ნათია კაციტაძე
ნათია კაპანაძე
ნინო ლომჯარია
ალექსანდრე რუხაძე
ნინო სუქნიძე
თინათინ შელია
პარმენ ჯალაღონია
სოფო ჯაფარიძე
მიხეილ ჯახუა
ხათუნა ჭითანავა
თამარ ხიდაშელი
თინათინ ხიდაშელი — შეჩერებული აქვს წევრობა

აღმასრულებელი დირექტორი

თამარ გვარამაძე

რეგიონული ოფისების ხელმძღვანელები

აჭარის ფილიალი – გია ქარცივაძე
ქუთაისის ფილიალი – გიორგი ჭიქაბერიძე
რუსთავის ოფისი – ეკატერინე ფავლენიშვილი
გორის ოფისი – ქეთევან ბებიაშვილი
თელავის ოფისი – მარეხ მგალობლიშვილი
ოზურგეთის ოფისი – თამაზ ტრაპაიძე
დუშეთის ოფისი – სერგო ისაშვილი
ზუგდიდის ოფისი – ნინო ხუხუა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თბილისი
ჯ.კახიძის ქ. №15, 0102
ტელ: + (995 32) 2936101 / 2952353
ფაქსი: + (995 32) 2923211
ელ-ფოსტა: **gyla@gyla.ge**

ქუთაისის ფილიალი
მ.კოსტავას ქ. №11, 4600
ტელ: + (995 431) 241192
ფაქსი: + (995 431) 214585
ელ-ფოსტა: **kutaisi@gyla.ge**

აჭარის ფილიალი
ბათუმი, გორგასლის ქ. №89, 6000
ტელ: + (995 422) 276668,
ფაქსი: + (995 422) 222950
ელ-ფოსტა: **batumi@gyla.ge**

გორის ოფისი
სტალინის ქ. №19, 1400
ტელ: + (995 370) 272646
ფაქსი: + (995 370) 279842
ელ-ფოსტა: **gori@gyla.ge**

რუსთავის ოფისი
კოსტავას ქ. №15 ა/5, 3700
ტელ: + (995 341) 255337
ფაქსი: + (995 341) 240566
ელ-ფოსტა: **rustavi@gyla.ge**

თელავის ოფისი
26 მაისის ქ. №13, 2200
ტელ/ფაქსი: + (995 350) 271371
ელ-ფოსტა: **telavi@gyla.ge**

ოზურგეთის ოფისი
გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №25/10, 3500
ტელ/ფაქსი: + (995 496) 273138
ელ-ფოსტა: **ozurgeti@gyla.ge**

დუშეთის ოფისი
რუსთაველის ქ. №29, 1810
ტელ: + (995 346) 221554
ფაქსი: + (995 346) 221553
ელ-ფოსტა: **dusheti@gyla.ge**

ზუგდიდის ოფისი
თაბუკაშვილის ქ. №21
ტელ: + (995 415) 227770
ელ-ფოსტა: **zugdidi@gyla.ge**